# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 8 დეკემბერი 2001 №235 (1508) | ფასი 50 თეთრი

# ფრანს ფუტბოლი მულენ რუჟი არ არის
# კანკანზე გული არ შტოკდებათ

წლევანდელი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენამდე ათი დღელა დარჩა, თუმცა „ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვის ფავორიტები უკვე გამოიკვეთა.

გუშინ ესპანურ „მარკას" გაოცება არ დაუფარავს იმის გამო, რომ გამოკითხვის მონაწილეთა სიმპათია მხოლოდ ბოლოს მოიხვეჭა მიუნხენის „ბაიერნის" მეკარე ოლივერ კანმა.

„პრიორიტეტი თავიდან უფრო იტალიური „რომას" კაპიტან ფრანჩესკო ტოტის და მადრიდის „რეალის" თავდამსხმელ რაულს ენიჭებოდათ. ცხადია, ის ტიტულები, რაც „რეალმა" რაულის გოლებით მოიგო, მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ შემთხვევაში ბოლო წლებში სტაბილურად მოთამაშე და ჩემპიონთა ლიგის მომგები ოლივერ კანი უფრო იმსახურებს პრესტიჟულ ჯილდოს" – აღნიშნავს „მარკა".

„სარბიელის" სიმპათია უფრო რაულისკენ გადაიხარა, მიუნხენელთა მეკარე კი ჩვენი გაზეთის რჩეულთა შორის ოდენ მესამეა. მეორე ნომინანტი „ოქროს ბურთის" შარშანდელი მფლობელი, „რეალისვე" პორტუგალიელი ლუიშ ფიგუა, მეოთხე-მეხუთენი „ბარსელონას" ბრაზილიელი რივალდო და „მანჩესტერ იუნაიტედის" დევიდ ბექემი არიან.

„ფრანს ფუტბოლი" გამოკითხვის გამარჯვებულს 17 დეკემბერს დაასახელებს და თუ ეს ჯილდო სწორედ კანს ერგო, საბჭოელი ლევ იაშინის შემდეგ ის პირველი მეკარე გახდება, ვინც ევროპულ ფეხბურთში ასე დაფასდა.




# მეკარესთან პირისპირ ოთხი მეგოლე დარჩა
# გაიტანს კანი?




რაული




ლუიშ ფიგუ




ოლივერ კანი




რივალდო




დევიდ ბექემი

# დეპარტამენტში ხმაური იქნება

## ნაკრებს თავს მოაბამენ, ზოგს, ალბათ, წააცლიან

**სპორტის** დეპარტამენტის დარბაზში ხუთშაბათს, 20 დეკემბერს, 12 საათზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის ერთობ მნიშვნელოვანი სხდომა დაიწყება.

მართალია, განსახილველ-დასამტკიცებელი ბევრი არაფერია, მაგრამ მოსალოდნელია, რომ დეპარტამენტში დიდი ვნებათა ღელვა იყოს.

ფედერაციამ უეფას რეკომენდაციით უსაფრთხოების კომიტეტი უნდა ჩამოაყალიბოს, რომელსაც, სავარაუდოდ, ფედერაციის პრესატაშე მამუკა კვარაცხელია უხელმძღვანელებს და, ალბათ, ამ საკითხზე საუბარს აღმასკომის წევრები დიდ დროს არ მოანდომებენ.

მთავარი კი, ყველაზე საინტერესო, მნიშვნელოვანი და საყურადღებო ნაკრებთა მწვრთნელების დანიშვნა იქნება. აღმასკომს ეროვნული, ახალგაზრდული და 19-წლამდელთა გუნდების მწვრთნელების დამტკიცება მოუწევს. 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილის მუშაობით კი არა გვგონია, აღმასკომის რომელიმე წევრი უკმაყოფილო იყოს. მისი საკითხი 20 დეკემბერს, ალბათ, არც განიხილება. შესაძლოა, ახალგაზრდული ნაკრები კვლავ ვახტანგ კოპალეიშვილს ჩააბარონ, მით უმეტეს, ეროვნული თუ ალექსანდრე ჩივაძეს ანდეს, ახალგაზრდებს კოპალეიშვილს არ ჩამოაშორებენ. 19-წლამდელთა ნაკრებისთვის ფედერაციისგან შეგულებულ კანდიდატებზე კი ჯერჯერობით არაფერი ისმის. ძნელი წარმოსადგენია, გელა გომელაურს ამ ასაკის ბიჭებთან მუშაობა გააგრძელებინონ.

ხმაური კი, ვეჭვობთ, მაშინ ატყდება, როცა აღმასკომი ფეირ პლეის პრინციპების დაცვაზე დაიწყებს ლაპარაკს და პრეზიდენტი ჟორდანია ჩემპიონატის დებულებაში ერთი პუნქტის დამატებას მოითხოვს. სხდომაზე ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ყველა გუნდის პრეზიდენტი, რეგიონულ ფედერაციათა თავკაცები, სადისციპლინო კომიტეტის წევრები და ჟურნალისტები არიან მიწვეულნი. ჰოდა, ასეთი აუდიტორიის დასწრებით გაირჩევა ისეთი მატჩები, რომლებმაც ხალხი აალაპარაკა და ბევრს ათქმევინა, ჩაწყობილი იყოო. პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, „კოლხეთი“ — „ტორპედოს“ მატჩს ვგულისხმობთ.

ერთი სიტყვით, დაველოდოთ 20 დეკემბერს, თუმცა იქამდე ეროვნულის მწვრთნელის თემას, ალბათ, არაერთხელ დავუბრუნდებით.

**ლუკა თალაკვაძე**



„კოლხეთ“ — „ტორპედოს“ საეჭვო თამაში აღმასკომზე გაირჩევა

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XVI ტური

დუისბურგი 2:6 ჰანოვერი
უნიონი 1:0 ბოხუმი
არმინია 3:1 ობერჰაუზენი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XX ტური

ოსნაბრიუკი 2:0 მიუნსტერი
ლევერკუზენი (მ) 1:4 ვატენშაიდი

სამხრეთ რეგიონალლიგა
XXI ტური

დარმშტადტი 1:0 ლაუტერნი (მ.)

## იტალია

სერია B. XVI ტური

რეჯინა 2:2 სალერნიტანა

## პორტუგალია

I ლიგა. XIV ტური

ფარენსე 2:2 ბელენენსეში

## თურქეთი

V ტური

ბეშიქთაში 1:0 გენჩლერბირლიგი

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XIX ტური

ბოვე 0:0 აიაჩო

## ინგლისი

პირველი დივიზიონი
XXIII ტური

გრიმსბი 1:1 ვულვერჰემპტონი

## ჰოლანდია

პირველი დივიზიონი
XVII ტური

სიტარდი 1:3 დენ ბოსხი
ვიტესე 2:1 გრააფსხაპი

მეორე დივიზიონი
XVII ტური

ოსი 1:1 ტელსტარი
დენ ჰააგი 3:3 ვენლო
კამბური 1:1 დორდრეხტი
ზვოლე 2:1 ეინდჰოვენი
ჰაარლემი 1:1 იგლსი
ჰელმონდი 1:1 ექსელსიორი
როზენდალი 1:2 ვოლენდამი

*გოგა გახოკიძემ საბოლოოდ მოაგვარა პრობლემები ჰოლანდიის პსვ-ის მწვრთნელ ერიკ გერეტსთან, კლუბის ხელმძღვანელებთან და ძირითად შემადგენლობასაც გაუშინაურდა.*

*გუშინწინ პსვ უეფას თასის მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩში ბერძნულ პაოკ-ს მასპინძლობდა და სალონიკში ნაგებისთვის სრულფასოვანი რევანშიც აიღო. მატჩის საუკეთესოებად ორნი, პსვ-ის თავდამსხმელი რომედალი და ნახევარმცველი გოგა გახოკიძე დაასახელეს. ქართველი, პირველი გოლისას ჰესელინკისთვის პასით გამოირჩა, სტუმართა წელში გამტეხი თავისსავე გოლით და ბერძნების გვარიანად დატანჯვითაც. გოგა გახოკიძემ 90 წუთი, ჩვეულად, მარცხენა ჰავბეკის პოზიციაზე ითამაშა. მის ფლანგურ შეტევებს სტუმრებმა ვერაფერი დაუპირისპირეს. ის გოლიც, რომელიც გოგამ 33-ე წუთზე გაიტანა, ერთობ ლამაზი გამოდგა.*

# გახოკიძე შინაურია

## ქართველი ჰოლანდიელებმა ბერძნებთან დააფასეს



გოგა გახოკიძე

— კარამდე დაახლოებით 25 მეტრი იქნებოდა. ჯარიმა იყო. თანაგუნდელმა ბურთი დასარტყმელად დამიგორა, კედლიდან მცველი გამოვარდა, ფეხებში ჩამიხტა, მაგრამ ის გავაცურე, ბურთი გავისწორე და დავარტყი — გვითხრა გოგა გახოკიძემ — მინიმალური სხვაობით ვიგებდით და ამ გოლით 2:0 რომ დავწინაურდით, უკვე ცხადი გახდა, პაოკ-ი ვეღარაფერს მოახერხებდა.

**— შენი თამაშით კმაყოფილი დარჩი?**

— ვფიქრობ, ძალიან კარგად ვითამაშე. ეს გერეტსმაც აღნიშნა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე და არც ჟურნალისტებმა დამაკლეს თბილი სიტყვები. საუკეთესო ფეხბურთელებად მე და რომედალი დაგვასახელეს. მგონი, დავიმსახურეთ.

**— ნელ-ნელა უკვე იმკვიდრებ ადგილს ძირითად შემადგენლობაში.**

— წინა სეზონთან შედარებაც არ შეიძლება. ახლა რეგულარულად ვთამაშობ და უკვე ზედიზედ მეორედ მწვრთნელმა ძირითადში მათამაშა. თითქმის ყველა მატჩში საგოლე პასს ვაკეთებ, მცველებსაც ვეხმარები და გერეტსი, დარწმუნებული ვარ, კმაყოფილია ჩემი მომზადების დონით.

**— კმაყოფილია, ესე იგი, შენს სხვა გუნდში გადასვლაზე ლაპარაკი აღარ არის?**

— არც თავად მსურს პსვ-ის დატოვება, მით უმეტეს, ბოლო ხანს, ჩემი საქმეები კარგად მიდის. ისე კი, პსვ-ზე ძლიერი, უფრო სახელოვანი გუნდი თუ მიმიწვევს და არც ჰოლანდიელები იქნებიან წინააღმდეგნი, წავალ, რატომაც არა. ჯერჯერობით კი პსვ-ში კონტრაქტით წელიწადნახევარი კიდევ დამრჩა სათამაშო.

**— ამ სეზონში ჰოლანდიის ჩემპიონობაზე აღარ ფიქრობთ?**

— როგორ არა. ლიდერს სულ ოთხი ქულით ჩამოვრჩებით...

**— კი, მაგრამ, ორი თამაშით მეტი გაქვთ ჩატარებული. თანაც წლეულს პსვ შარშანდელივით ძლიერი ვეღარ არის.**

— ძალებს ნელ-ნელა ვიკრებთ. აგერ, ორიოდ ტურის წინ „აიაქსი“ ამსტერდამში დავამარცხეთ კიდეც. წლეულს ერთი პრინციპული, მნიშვნელოვანი მატჩი გველის როტერდამში „ფეიენოორდთან“ და თუ მოვიგეთ, მერე უკვე ნამდვილად რეალური იქნება ჩემპიონობისთვის ბრძოლა. ვნახოთ, რა გამოგვივა. წინ მეორე წრე გველის, 17 თამაში და უეჭველია, „ფეიენოორდიც“ და „აიაქსიც“ ბევრ ქულას დაკარგავს.

**— კონკურენტად სხვა გუნდებს აღარ თვლი?**

— არა მგონია, ჩვენს გარდა რომელიმე გუნდი ჩაერიოს საჩემპიონო დავაში. სამეულში ადგილები ჩვენს შორის განაწილდება.

**ძოგა ინასარიძე**

ქართულის ფეხბურთის ვარსკვლავთმრიცხველმა
რევაზ შენგელიამ მეათედ გამოსცა
ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნი
12 ეროვნული ჩემპიონატის სრული სტატისტიკა,
უმაღლესი, პირველი და რეგიონული ლიგების
კლუბთა შარშანდელი შედეგები და წლევანდელ
მონაწილეთა განაცხადები
გუნდური ფოტოებით და პორტრეტებითურთ.
2000-01 წლების ჩემპიონატის შედეგები და
თასის გათამაშების ყველა მატჩი,
საქართველოს ნაკრების შეხვედრები
ევროპის საკლუბო ტურნირები და მსოფლიოს
ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩები.
ეს ყველაფერი ქართული ფეხბურთის შესახებ
5 ლარად




სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი
კარდიოექსპრესდიაგნოსტიკა
გულის დაავადებების თანამედროვე
სრულფასოვანი არაინვაზიური დიაგნოსტიკა
- კვალიფიციურ კარდიოლოგთა კონსულტაცია
- გულის ტრანსეზოფაგული და ტრანსთორაკალური ექოსკოპია, ფერადი დოპლერი, სტრესექოსკოპია
- ფიზიკური დატვირთვის ტესტი ტრედმილით
- ტრანსეზოფაგული ელექტროფიზიოლოგიური კვლევა და სტრეს-ტესტი
- გულის რიტმის 24-საათიანი მონიტორირება (ჰოლტერის მეთოდით)
- არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორირება
- ელექტროკარდიოგრაფია
- ლაბორატორიული კვლევა
- ულტრათანამედროვე აპარატურა, მონაცემების კომპიუტერული დამუშავება

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11 (III და IV კვარტალს შორის, №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობა)
☎ 53-73-00; 95-00-33

# ნარჩემაშვილმა თარგამაძე ფეხბურთშიც შეცვალა

ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი ანუ სპორტსაზოგადოება „დინამო“ ტრადიციებს არ არღვევს. ის იურიდიულად დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და არც ერთ სახელმწიფო უწყებას არ ექვემდებარება, თუმც ტრადიციების მნიშვნელობა კარგად აქვს გათვითცნობიერებული. ერთი სიტყვით, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ გამგეობამ ახალი თავმჯდომარე აირჩია — შსს-ს მინისტრობიდან კახა თარგამაძის გადაყენების შემდეგ ეს პოსტი პოლიციის ახალ მეთაურ კობა ნარჩემაშვილს ერგო.

„დინამოს“ გამგეობის დანარჩენ ექვს წევრს კახა თარგამაძის გადაყენებით გამოწვეული საკადრო ცვლილებები ჯერ არ შეხებია — ნიკა ივანიშვილი, ვასილ დავითაია, ზურაბ უროტაძე, ზურაბ ჩხეიძე, რევაზ მაჭავარიანი და ზაქრო ვარაზაშვილი კვლავ დინამოელები არიან.

**დავით თავართქილაძე**

# დინამო პირდაპირ ეთერში. ნოდია მანჩესტერში?

კვლავაც გაურკვეველი ვითარებაა თბილისის „დინამოში“. ბოლო დროს დატრიალებულმა ამბებმა „დინამოსადმი“ ინტერესი კიდევ უფრო გააცხოველა. ახალი მეპატრონე, ტრანსფერზე დაყენებული ფეხბურთელები, ჩემპიონატში სუსტი გამოსვლა, გივი ნოდიას მანჩესტერში გამგზავრება — ეს არასრული ჩამონათვალია იმ მოვლენებისა, რომლებიც ელვის სისწრაფით ენაცვლება ერთიმეორეს.

თუმც სამშაბათს ბევრ კითხვას, ალბათ, პასუხი გაეცემა. საქმე ისაა, რომ 11 დეკემბერს, 17 საათზე სტუდია „აუდიენციაში“ „დინამოს“ ხელმძღვანელობა პრესკონფერენციას მართავს.

— საუბარი აბსოლუტურად ყველა თემას შეეხება, დაწყებული სატრანსფერო პოლიტიკიდან, დამთავრებული იურიდიული საკითხებით — გვითხრა გუშინ „დინამოს“ ახალგამომცხვარმა პრესატაშემ დავით ერაძემ. აქვე გაცხადდება კლუბის თავკაც გივი ნოდიასა და აღმასრულებელ დირექტორ გია ფირცხალავას მანჩესტერში გამგზავრების თარიღიც.

აღსანიშნავია, რომ პრესკონფერეცია რადიო „აუდიენციის“ პირდაპირ ეთერში გადაიცემა.

**კახა ზალამბერიძე**



ლაშა ჯაკობიამ ადრეული ასაკიდანვე მიიქცია სპეციალისტების ყურადღება. ორი წლის წინ ევროპის თვრამეტწლამდელთა ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასული საქართველოს ნაკრების ლიდერი არც უცხოურ კლუბებს გამორჩენიათ მხედველობიდან. პერსპექტიული ქართველი თავდამსხმელი ბელგიურმა „სტანდარდმა“ გადაიბირა. აქედან დაიწყო ჯაკობიას უიღბლო პერიოდი. მთელი ამ ხნის განმავლობაში ლაშას ერთი სრული სეზონიც კი არ ჩაუტარებია ხშირი ტრავმების გამო. 21 წლის ქართველ ფეხბურთელს ზაფხულში ფრანგული ფეხბურთის ფლაგმანმა პსჟ-მ გაუფორმა კონტრაქტი და მაშინვე ბელგიურ „ლიეჟში“ გაანათხოვრა, თუმც... არა და არ ეძლევა თავის გამოჩენის შანსი. ტრავმები ლაშა ჯაკობიას მუდმივ, მეტად არასასიამოვნო მეგზურად იქცა.

გუშინ ქართველი ლეგიონერი „სარბიელს“ ესაუბრა:

# ლაშა ჯაკობია ზიდანის და ლიზარაზუს ნაოპერაციევზე

**— „ლიეჟის“ შემადგენლობაში ჯერ არ გამოჩენილხარ. რა არის შენი უთამაშებლობის მიზეზი?**

— ტრავმებმა გამაწამეს. უკვე ვეღარც კი ვიხსენებ, ბოლოს როდის ვითამაშე. არადა, ჩემს ასაკში სათამაშო პრაქტიკას რამხელა მნიშვნელობა აქვს, თქვენც კარგად მოგეხსენებათ. თუმც ბედთან შეგუებას სულაც არ ვაპირებ. ჩემს სიტყვას კიდევ ვიტყვი.

**— ისევ წელი გაწუხებს?**

— არა, წელის ტრავმა როგორც იქნა, მოვიშუშე. ახლა საზარდული მტკივა. საზარდული ადრეც მაწუხებდა, თუმც მირჩიეს ჯერ წელი მოირჩინეო.

**— ისევ ოპერაცია დაგჭირდება?**

— დიახ, საზარდული საოპერაციოა. როგორც მითხრეს, ქირურგიული ჩარევის შედეგად ტრავმას საბოლოოდ მოვიშუშებ. მალე გამოკვლევას ჩამიტარებენ და ოპერაციის გაკეთების დღესაც მაშინ მეტყვიან.

**— კონკრეტულად, რა გჭირს?**

— საზარდულის გახრტილება მაქვს. ამას მხოლოდ ქირურგიული ჩარევა თუ უშველის. ნემსებით და წამლებით კი ძალიან დიდი დრო დასჭირდება. მე კი ისედაც ბევრი დრო დავკარგე.

**— ოპერაციის გაკეთებას სად აპირებ?**

— საფრანგეთში. საფრანგეთის ნაკრების ქირურგი მიმკურნალებს. სწორედ მან გაუკეთა ადრე ოპერაცია ისეთ ცნობილ ფეხბურთელებს, ბიქსენტ ლიზარაზუ და ზინედინ ზიდანი რომ არიან. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად ჩაივლის.

**— თამაშს როდის შეძლებ?**

— დაახლოებით სამ თვეში. უკვე მერამდენედ ვიკეთებ ოპერაციას აღარც ვიცი. სამწუხაროდ, ამ საქმეში საკმაო გამოცდილება შევიძინე. შეიძლება აჩქარებამ, ყველაფერი წყალში ჩამიყაროს. სადაც ამდენი გამიცდა, რამდენიმე დღის გამო თავს ვერ დავიღუპავ. სანამ აღდგენით პერიოდს სრულად არ გავივლი, მოედნისკენ არც გავიხედავ. არადა, თამაში ძალიან მომენატრა.

**— როგორც ვიცით, „ლიეჟში“ განათხოვრებული ხარ...**

— სეზონის წინ „სტანდარდი“ დავტოვე და ფრანგულ პსჟ-ში გადავედი. ფრანგებმა კი მაშინვე „ლიეჟში“ გამანათხოვრეს. მათი ნაბიჯი გასაგები იყო. პსჟ-ში ხომ თავდასხმის ხაზში დიდი კონკურენციაა. მეც, სათამაშო პრაქტიკის გარეშე რომ არ დავრჩენილიყავი, „ლიეჟს“ მივაშურე. თუმც... ჯერ ერთხელაც არ მითამაშია...

**— არც მოსამზადებელ ეტაპზე?**

— მხოლოდ ერთ ამხანაგურ მატჩში მივიღე მონაწილეობა სარეზერვო გუნდში და სამი გოლიც გავიტანე. მერე კი ტრავმამ ყველაფერი ამირია.

**— პსჟ-თან რამდენწლიანი კონტრაქტი გაქვს?**

— ერთწლიანი, თუმც ორივე მხარის თანხმობით გაგრძელება შესაძლებელია. ამაზე ჯერ სულაც არ ვფიქრობ. მთავარია, საბოლოოდ განვიკურნო და თამაში დავიწყო.

**— „სტანდარდს“ შენზე არანაირი უფლება არ დარჩა?**

— არა. ბელგიელებმა გამყიდეს. მე პსჟ-ს ვეკუთვნი.

**— საქართველოში როდის ჩამოხვალ?**

— აქ ყველაფერს მოვაგვარებ და თბილისში დაახლოებით მომავალი კვირის ბოლოს ჩამოვალ.

**კახა ზალამბერიძე**



მიხეილ ფოცხვერია (მარჯვნივ) „მერანს“ შარშან შემოდგომითღა შეეშველა

# ფოცხვერია მოდის?

## როგორი დახვდება მერანი...

წისქვილის ქვა არ დატრიალებულა მიხეილ ფოცხვერიას თავზე, თორემ მის კარიერაში პრობლემები არ დალეულა. ხან უკრაინული „შახტარის“ მაშინდელი თავკაცი იარემჩენკო არ სწყალობდა, ხანაც კლუბის პრეზიდენტმა აითვალწუნა.

აერია გზა-კვალი საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილ მოთამაშეს. მოძალებულმა ტრავმებმაც თავისი კვალი დაატყო ნიჭიერ მოთამაშეს და ფეხბურთისთვის თავის დანებებას რომ აპირებდა, მაშინ გამოჩნდა მშველელი.

ვერ გეტყვით, რა უთხრა თბილისური „მერანის“ მენეჯერმა ვოვა ჩერქეზოვმა „შახტარის“ თავკაცებს, მაგრამ ფაქტი ერთია, უკრაინელებმა ფოცხვერია ავჭალელებს დაუთმეს.

ჩამოვიდა ქართველი სამშობლოში, ეროვნული ჩემპიონატის სამი ტურიც ითამაშა და კიდევ ერთმა უიღბლობამ წამოყო თავი. ფოცხვერია ფოთში, „კოლხეთთან“ მატჩში დაშავდა. ოდინდელმა ნაოპერაციევმა მუხლმა დატვირთვას ვერ გაუძლო და...

ისევ საავადმყოფო, ისევ ექიმები, კიდევ ერთი ოპერაცია, ამჯერად საქართველოში, თითქოს წარმატებულად გაკეთებული. ფოცხვერიამ სარეაბილიტაციო პერიოდიც კარგად დაიწყო, თუმც ის ხომ უიღბლოა. ნაჭრილობევში ინფექციამ შეაღწია და ქართველი ფორვარდიც ხანგრძლივად სამკურნალო შეიქნა.

ამასობაში „მერანმა“ ერთი ჩემპიონატი გაასრულა, მეორეს ერთი ნაწილიც უფოცხვერიოდ გალია. ავჭალელებმა ამ ხნის მანძილზე ფინანსურ სიდუხჭირესაც გაუძლეს, დღესაც უმკლავდებიან გაჭირვებას და მესამე ადგილზეც დამკვიდრდნენ.

ამასობაში ფოცხვერია გამოჯანმრთელებულა. ვარჯიშს ინდივიდუალურად შესდგომია, ზედმეტი წონა მოუშორებია და ამბობენ, ნელ-ნელა ფორმას და ძალას იკრებსო.

26 წლის ფეხბურთელი დღესაც „მერანის“ მოთამაშეა, კლუბში დაბრუნების და ეროვნულ ჩემპიონატში თამაშის სურვილი ჯერაც არ გაქრობია და ამბობს, თუ ავჭალელები ფინანსურ პრობლემებს მოაგვარებენ, სიამოვნებით ჩამოვალო.

„მერანის“ ხელმძღვანელთა განცხადებით, 20 დეკემბრამდე ყველაფერი მოგვარდება და მიხეილ ფოცხვერიაც ნაახალწლევს თბილისს ეწვევა.

**გამუკა ძგანტალიანი**

# თემურ ჩლაიძემ იარა სამეზობლოში მოიშუშა

იყო დრო, თემურ ჩლაიძე ერთ-ერთ პერსპექტიულ მეკარედ ითვლებოდა ჩვენში. ის კი არა, 16 წლისა ქართველ მეკარეთაგან პირველი გაემგზავრა უცხოეთში კარიერის გასაგრძელებლად. ეს ყველაფერი ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე იყო, მაგრამ თემურმა ბულგარეთში ფეხი ვერ მოიკიდა და 1991 წლიდან გასული წლის მარტამდე საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობდა სხვადასხვა გუნდების შემადგენლობაში.



თემურ ჩლაიძემ (№1) საქართველოსას აზერბაიჯანის ჩემპიონატი არჩია

ბოლოს სამტრედიის „იბერიაში“ იყო, მაგრამ შარშან გაზაფხულზე მძიმედ დაშავდა და ოთხი თვით გამოაკლდა ფეხბურთს. ამას ოჯახური ტრაგედიაც დაერთო, თემურს მამა გარდაეცვალა და ბევრს ეგონა, ფეხბურთს ჩამოშორდებაო, მაგრამ ჩლაიძე პირველი სექტემბრიდან აზერბაიჯანულ „ხაზარში“ გამოჩნდა და დღემდე ამ გუნდის ღირსებას იცავს. მას გუშინ ბაქოში შევეხმიანეთ და იქაური ქართველი ლეგიონერების ამბებიც გავიგეთ.

„აზერბაიჯანის კვალობაზე „ხაზარი“ ნორმალური გუნდია. დღეისთვის მეშვიდე ადგილზე ვიმყოფებით, მაგრამ მეოთხეადგილოსანი სამი ქულით გვისწრებს და მეტის მიღწევის შანსი გვაქვს. „ხაზართან“ დეკემბრის ბოლომდე მაქვს კონტრაქტი, ძირითად შემადგენლობაში სტაბილურად ვთამაშობ და კლუბის ხელმძღვანელთა მადლიერიც ვარ, მაგრამ შესაძლოა, ახალი წლიდან გუნდი გამოვიცვალო. ისრაელის ვარიანტი მაქვს, თუმც აზერბაიჯანში დარჩენასაც არ გამოვრიცხავ. ჩემი თანაკლუბელი იყო კახა ძებისაშვილი, რომელიც ორ წელზე მეტია, „ხაზარში“ თამაშობდა, მაგრამ მინი-ფეხბურთში გადასვლა ამჯობინა და აქაურ „ვილიაშთან“ გააფორმა სარფიანი კონტრაქტი. მინი-ფეხბურთის რამდენიმე გუნდი იწვევს გია კილასონიასაც, მას ძველი გუნდი „თურანიც“ ეპატიჟება, მაგრამ ჯერჯერობით გარკვეული არაფერია. გიას პრობლემები აქვს „ნეფთჩის“ მწვრთნელთან. არადა, მისი დონის ფეხბურთელი „ნეფთჩის“ არ ჰყავს...“

სხვათა შორის, მეორეადგილოსანი „ნეფთჩი“ გუშინწინ პრინციპულ მატჩში ლიდერ „შამქირს“ შეხვდა სტუმრად და ფრედ 1:1 ითამაშა. უმცროს კილასონიას ამ შეხვედრაში არ უთამაშია. რაც შეეხება თემურ ჩლაიძეს, მას გუნდის მესვეურები ერთობ ემადლიერებიან. საქებარ სიტყვებს ჩვენი აზერბაიჯანელი კოლეგებიც არ იშურებენ, ჩლაიძემ ბოლო ხუთ შეხვედრაში სამი პენალტი მოიგერია და გუნდისთვის დიდი ძალაა, ამბობენ.

**ბაათა ძგანტალიანი**

## უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი

UEFA CUP

საპასუხო მატჩები

**4 დეკემბერი**

**ლოკომოტივი** (რუსეთი) 0:1 ***ჰაპოელი*** *(თელ ავივი, ისრაელი)* (1:2)
0:1 ოსტერცი (48)
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ნიჟეგოროდოვი, იგნაშევიჩი, იზმაილოვი, მამინოვი, ლოსკოვი, ბუზნიკინი, სარქისიანი (ობიორა 65), სენნიკოვი, ვუჩიჩევიჩი, პიმენოვი
ზაზა ჯანაშია სათადარიგო იყო
მწვრთნელი: იური სიომინი
გაფრთხილება: ოსტერცი, ლოსკოვი, ჰალმაი, ელიმელეხი, ნიჟეგოროდოვი
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
10 000 მაყურებელი

***დორტმუნდი*** *(გერმანია)* 1:0 **კოპენჰაგენი** (დანია) (1:0)
1:0 სორენსენი (89)

***როდა*** *(ჰოლანდია)* 2:0 **ბორდო** (საფრანგეთი) (0:1)
1:0 ანასტასიუ (56პ), 2:0 ლავალი (66)
გაძევება: ბატლე (55, „ბორდო“)

**6 დეკემბერი**

***პსვ ეინდჰოვენი*** *(ჰოლანდია)* 4:1 **პაოკ** (სალონიკი, საბერძნეთი) (2:3)
1:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (2), 2:0 გახოკიძე (33), 3:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (58), 3:1 დე სოუზა (89), 4:1 ვან ბომელი (90პ)
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ბოგელუნდი, ნიკიფოროვი, ფაბერი (ე. ადო 90), ჰაინცე, რომედალი (ვაუ 88), ოიერი, ლუსიუსი, გახოკიძე, ა. რამზი (ვან ბომელი 75), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: უდეზე, ფაბერი, ოკასი
მსაჯი: გრაციანო ჩეზარი (იტალია)
31 000 მაყურებელი

**ფრაიბურგი** (გერმანია) 2:2 ***ფეიენოორდი*** *(როტერდამი, ჰოლანდია)* (0:1)
1:0 კელი (22), 2:0 კობიაშვილი (49პ), 2:1 ვან ჰოიდონკი (67), 2:2 ლეონარდუ (86)
ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი, ბ. დიარა, კელი, კობიაშვილი, ა. ცაიერი, ტანკო (რამდანე 19), ვ. ბუტი (კულიბალი 75), ცხადაძე? 
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: ელმანდერი, ტომასონი
მსაჯი: ალფრედო ტრენტალანჯე (იტალია)
18 600 მაყურებელი

**სპორტინგი** (ლისაბონი, პორტუგალია) 1:1 ***მილანი*** *(იტალია)* (0:2)
1:0 ნიკულაე (51), 1:1 ხავი მორენო (90)
მილანი: აბიატი, ჰელვეგი, როკე ჟუნიორი, კოსტაკურტა, მალდინი, კონტრა (ლაურსენი 82), დონატი, გატუზო, კალაძე, რუი კოშტა (ხავი მორენო 70), შევჩენკო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: კონტრა, ბეტუ სევერუ, ჟოაუ პინტუ, დონატი
მსაჯი: რიხარდ ვოიჩიკი (პოლონეთი)
52 000 მაყურებელი

**პსჟ** (პარიზი, საფრანგეთი) 0:0 დ.დ. (3:4პენ, 0:0) ***გლაზგო რეინჯერსი*** *(შოტლანდია)* (0:0)

***ლილი*** *(საფრანგეთი)* 2:0 **ფიორენტინა** (ფლორენცია, იტალია) (1:0)
1:0 ბრუნო შეირუ (32), 2:0 სტერიოვსკი (78)
გაძევება: ტაროცი (75, „ფიორენტინა“)

**სელტიკი** (გლაზგო, შოტლანდია) 1:0 დ.დ. (4:5პენ, 1:0) ***ვალენსია*** *(ესპანეთი)* (0:1)
1:0 ლარსონი (45)

**ჰერტა** (ბერლინი, გერმანია) 0:3 ***სერვეტი*** *(ჟენევა, შვეიცარია)* (0:0)
0:1 ჰილტონი (17), 0:2 ა. ფრეი (49), 0:3 გ. ობრადოვიჩი (70)
გაძევება: ვან ბურიკი (18, „ჰერტა“)

***ინტერი*** *(მილანი, იტალია)* 4:1 **იფსვიჩ თაუნი** (ინგლისი) (0:1)
1:0, 2:0, 3:0 ვიერი (19, 35, 70), 4:0 კალონი (76), 4:1 ა. არმსტრონგი (79პ)

**ლიტექსი** (ლოვეჩი, ბულგარეთი) 1:1 ***აეკ*** *(ათენი, საბერძნეთი)* (2:3)
0:1 გამარა (16), 1:1 იურუკოვი (90)

***ლიდს იუნაიტედი*** *(ინგლისი)* 2:2 **გრასჰოპერი** (ციურიხი, შვეიცარია) (2:1)
1:0 კიუელი (19), 1:1 ნუნიესი (44), 2:1 რობი კინი (45), 2:2 ნუნიესი (90)

**ბრონდბიუ** (კოპენჰაგენი, დანია) 0:3 ***პარმა*** *(იტალია)* (1:1)
0:1 მბომა (43), 0:2 ნაკატა (57), 0:3 ლამუში (82)

**მალიორკა** (ესპანეთი) 1:2 ***ლიბერეცი*** *(ჩეხეთი)* (1:3)
0:1 ბაფური (56), 0:2 სტაინერი (69), 1:2 ეტოო (80პ)

***ლიონი*** *(საფრანგეთი)* 3:0 **ბრიუგე** (ბელგია) (1:4)
1:0, 2:0, 3:0 ს. ანდერსონი (18, 21, 90)


REUTERS ლისაბონიდან

სპორტინგი — მილანი. ჯენარო გატუზომ ჟოაუ პინტუ წააქცია, თავად კი ფეხზე დარჩა

# ია ლილის ყვავილის
## კახა კალაძე კინაღამ დაზრმავდა


REUTERS პარიზიდან

პსჟ — რეინჯერსი. გლაზგოელი ახმახი ტორე ანდრე ფლო სიგრძეზე ისევე კარგად ხტება, როგორც სიმაღლეზე

**პსვ-ს** მწვრთნელ ერიკ გერეტსს, ალბათ, პაოკ-თან მატჩის წინ გაახსენდა, რომ მის გუნდში გიორგი გახოკიძე ირიცხება. ბელგიელმა სპეციალისტმა ქართველს სასტარტო შემადგენლობაში ანდო ადგილი და სანაცვლოდ გახოკიძისგან, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი გოლი მიიღო.

მატჩი მასპინძელთათვის სასიკეთოდ დაიწყო. ვენეგოორ ოფ ჰესელინკმა ბერძნებს მისალმება არ დააცალა, მეორე წუთზევე გოლით გაუმასპინძლდა. მერე ქართველმა ფეხბურთელმა გაიტანა და სტუმრები წელში გატეხა. ამ მომენტიდან პაოკ-ის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო. მატჩის მეორე ნახევარში მასპინძელთა კიდევ ორ გოლს დე სოუზამ მხოლოდ ერთით უპასუხა და სალონიკელები უეფას თასის გათამაშებას გამოეთხოვნენ.

ყველაფერი ჩინებულად დაიწყო „ფრაიბურგისთვისაც“, რომლის სასტარტო შემადგენლობაში სამივე ქართველი თამაშობდა. როტერდამელები ოდნავ შესუსტებული შემადგენლობით იყვნენ, ეს კიდევ ერთი დამატებითი სტიმული იყო იმისთვის, რომ მასპინძლებს სასურველი ანგარიშით მოეგოთ. სებასტიან კელის გოლისა და ლევან კობიაშვილის პენალტის შემდეგ, ფოლკერ ფინკეს გუნდს ამ შედეგის შენარჩუნებაღა მართებდა.

სამწუხაროდ, აქ ფრაიბურგელთა მუდმივმა სენმა, არასტაბილურობამ იჩინა თავი. მათ საქმე მოთავებულად ჩათვალეს და ჯერ ვან ჰოიდონკმა, შემდეგ კი ლეონარდუმ მასპინძლები დასაჯეს. რა თქმა უნდა, დასანანია, რომ სამი ქართველი ერთბაშად გამოაკლდა უეფას თასისთვის ბრძოლას.

გაუჭირდა კახა კალაძის „მილანსაც“. კარლო ანჩელოტი მატჩის წინ თავის ფეხბურთელებს არწმუნებდა, ლისაბონში მოსაგებად უნდა ვითამაშოთო. თან იქადნებოდა: „გვირჩევნია, ვითამაშოთ მეტოქე გუნდის 80 ათასი ქომაგის თანდასწრებით, ვიდრე ცარიელი ტრიბუნების თანხლებით. რაც მეტნი იქნებიან, უფრო გავამწარებთ“ — ბრძანა ანჩელოტიმ.

მას შემდეგ, რაც მარიუს ნიკულაემ მეორე ტაიმის დასაწყისში მილანელებს გაუტანა, მასპინძლებს ცოტა დააკლდათ, თავად კარლო ანჩელოტი რომ გაემწარებინათ და მხოლოდ მატჩის ბოლო წუთზე ხავი მორენოს საპასუხო გოლმა უშველა სტუმართა თავკაცს.

აი, რას ამბობს კახა კალაძე: „პირველმა ტაიმმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. მეორეში კი, როცა გოლი გავუშვით, ჩვენი გუნდი ოდნავ აირია. დარწმუნებული ვარ, ამის მიზეზი დაღლილობაა. გაიხსენეთ, კვირას პრინციპული შეხვედრა გვქონდა „იუვენტუსთან“, ახლა „სპორტინგი“, მერე კი „იუვენტუსი“ გველის. თუმცა, იმ მომენტში, როდესაც მე შეცდომა დავუშვი, დაღლილობა არაფერ შუაში იყო. იმ ფლანგიდან, საიდანაც ბურთი საჯარიმოში ჩააწოდეს, პროჟექტორები ძალიან ძლიერად ანათებდა. მაღალი ბურთისთვის ბრძოლაში წამიერად თვალთ დამიბნელდა. კიდევ კარგი, ჟარდელმა ჩემი შეცდომით ვერ ისარგებლა“.

მეორე მილანურმა კლუბმა, „ინტერმა“ ინგლისური „იფსვიჩი“ ფეხქვეშ გაიგდო. მართალია, ვიერ-რონალდოს დუეტი არც ამ შეხვედრაში შედგა, მაგრამ მარტო კრისტიან ვიერიც საკმარისი აღმოჩნდა სტუმართა დასარბევად. მის სამ გოლს ერთი მოჰამედ კალონმაც მიუმატა. სტუმარი ალუნ არმსტრონგი კი, პენალტით რომ შეაგდო არაფრისმომტანი საპასუხო, იმასღა იტყვის, „სან სიროზე“ გამიტანიაო.

წნეხში მოქცეულმა დანიელ პასარელამ შვებით ამოისუნთქა. ჯერ კიდევ საპასუხო მატჩის წინ არგენტინელმა თქვა, კლუბის ბოსები მხარში მიდგანან და არ დავალალატებო. „ვფიქრობ, „ბრონდბიუსთან“, ჰიდეტოში ნაკატას იმედი უნდა გვქონდეს“ — დასძინა პასარელამ.

იაპონელი მართლაც შესანიშნავად გაისარჯა გუნდისთვის და თავის მწვრთნელისთვის. „პარმამ“ მასპინძლებს შანსი არ დაუტოვა, ხოლო მეორე გოლი ნაკატამ მიითვალა.

საფრანგეთში გამგზავრების წინ ვიტორიო ჩეკი გორის რობერტო მანჩინი გაესაუბრა და აღუთქვა, გუნდს სასწაულის ჩადენა შეუძლია, „ლილს“ მოვუგებთო.

მანჩინის თუ წარუმატებლობათა სერიის შემდეგ კიდევ ენდობიან, ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩს სათასო მატჩში „ნანსთან“ კინაღამ წაგებისთვის შავი დღე აყარეს. 15 თვეში მეორე დივიზიონიდან ჩემპიონთა ლიგაში მიგაბრძანეთ, სხვა რაღა გინდათ, დიდ გუნდს ბევრი ფულიც სჭირდებაო, თავი დაიცვა „ლილის“ მწვრთნელმა.

საფრანგეთში კი მანჩინის შეპირებული სასწაული არ შედგა. მასპინძლებმა მისი ფანზატიები ორი უპასუხო გოლით გაფანტეს, ხოლო უეფას თასს ერთი იტალიური გუნდი მოაშორეს.

დრამა გათამაშდა გლაზგოში, სადაც „სელტიკმა“ „ვალენსიას“ უმასპინძლა. პირველი ტაიმის მიწურულს ჰენრიკ ლარსონმა შეაგდო, დარჩენილი დრო უგოლოდ დასრულდა, ხოლო თერთმეტმეტრიანების შესრულებისას, როგორც ხშირად ხდება-ხოლმე, შოტლანდიელებს პენალტისტმა და გოლის ავტორმა ლარსონმა კარს ააცილა. თავის მხრივ, ორი შანსი ვალენსიელებსაც გაუცუდდათ. სამაგიეროდ, მათმა მეკარე სანტიაგო კანისარესმა იყოჩაღა და სამი მოიგერია.

„სელტიკის“ ფანთა გულის გასახეთქად, მეორე გლაზგოურმა კლუბმა სტუმრად, პარიზში, ასევე პენალტების სერიაში მოახერხა უნიათოდ მოთამაშე პსჟ-ს ძლევა. ისე, დამატებითი დროის დასრულებამდე ორი წუთით ადრე რონალდ დე ბურს თერთმეტმეტრიანი ზუსტად რომ შეესრულებინა... თუმცა „რეინჯერსმა“ მაინც იმარჯვა და ახლა სქოთთა ერთადერთი წარმომადგენელია ევროთასებზე.

ორი ამბიციური გუნდი, ბერლინის „ჰერტა“ და ესპანური „მალიორკა“, შესაბამისად „სერვეტმა“ და „ლიბერეცმა“ დააჩოქეს. თუ „მალიორკას“ მძიმე დრო უდგას, „ჰერტას“ საშინაო მარცხი ნამდვილად გასაკვირია. მიუხედავად იმისა, რომ ბერლინელები ადრევე კაცნაკლული დარჩნენ, ასეთი ანგარიშით, 0:3, ალბათ, მაინც არ უნდა წაეგოთ.

ლიონში ბრაზილიელი სონი ანდერსონის დღე იყო. მან ნერვები დააწყვეტა „ბრიუგეს“ — პირველი ტაიმის ოთხწუთიან მონაკვეთში ორი გოლი გაუტანა, ხოლო როცა ბელგიელებმა იფიქრეს, ყველაფერი მაინც საჩვენოდ დასრულდაო, სწორედ მაშინ ბრაზილიელმა კიდევ ერთხელ შეახსენა მათ თავი — მატჩის ბოლო წუთზე მესამე და გადამწყვეტი შეუგდო.

მარცხით დაღონებული „ბრიუგეს“ ფეხბურთელები მატჩის შემდეგ ცრემლებს ღვრიდნენ, მაგრამ ისინი ვილას ახსოვდა, ლიონი სასწაულებრივ გამარჯვებას ზეიმობდა.

წუხელ კი დადგინდა: 12 დეკემბერს შვეიცარიულ ნიონში ჩვენი დროით 15 საათზე მერვედფინალისა და მეოთხედფინალის წილისყრა მოეწყობა.

დარჩენილი 16 გუნდი სიძლიერის მიხედვით გადანაწილდნენ. უძლიერესთა კალათაში „ვალენსია“, „ინტერი“, „პარმა“, დორტმუნდის „ბორუსია“, „ლიდსი“, „მილანი“, „ფეიენოორდი“ და „ლიონი“ მოხვდნენ, შესაბამისად ამათი სავარაუდო მეტოქეები დანარჩენ რვაში უნდა ვეძებოთ.

მერვედფინალები 2002 წლის 21 და 28 თებერვალს ჩატარდება, მეოთხედფინალები კი 14-21 მარტს.

**ვაჟა ხუციშვილი**


REUTERS მილანიდან

ინტერი — იფსვიჩი. ისევ ის კრისტიან ვიერი ვარ!

## ფეხბურთის რუკასთან



კამერუნელი ნახევარმცველი სერჟე ბრანკო ფრანკფურტის „აინტრახტმა“ ვარჯიშის გაცდენის გამო დააჯარიმა. ეს უკვე მეორე შემთხვევაა ბრანკოსთვის. თუმც 21 წლის კამერუნელი ლეგიონერის ულისციპლინობა ამით სულაც არ ამოწურულა — იგი ექიმთან არ წავიდა ტრავმის გამოსაკვლევად, რითაც კლუბი გაანაწყენა. სინდეის ოლიმპიადის ოქროს მედალოსანი სერჟე ბრანკო წინა თვეში საკუთარი ქვეყნის ფედერაციამაც დააჯარიმა, რადგან ამხანაგურ მატჩში თამაში იუარა.

**პარაგვაის** ფეხბურთის ფედერაციამ კიდევ ერთი კანდიდატი შეიგულა ეროვნული ნაკრების თავკაცის პოსტზე, თუმც კოლუმბიელი ფრანსისკო მატურანა ამ ადგილს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიკავებს, თუ პარაგვაის ფეხბურთის ფედერაცია არგენტინელ კარლოს ბიანკის ვერ დაიყოლიებს. შეგახსენებთ, რომ ეს ვაკანსია მას შემდეგ გაჩნდა, რაც ნაკრების მთავარი მწვრთნელი სერხიო მარქარიანი გაათავისუფლეს, მიუხედავად იმისა, რომ მან პარაგვაის ნაკრებს მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოაპოვებინა. შეგახსენებთ, რომ საკონტინენტთაშორისო თასზე დამარცხების შემდეგ კარლოს ბიანკიმ „ბოკა ხუნიორსი“ დატოვა. პარაგვაის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პრეტენდენტებად ასევე ითვლებიან სერბი ბორა მილუტინოვიჩი, რომელმაც კორეა-იაპონიის გზაზე ჩინეთის ნაკრები დააყენა და ხოსე ლუის ჩილავერტი. კარლოს ბიანკიმ კი საბოლოო პასუხი პარაგვაის ფედერაციის პრეზიდენტ ოსკარ ჰარისონს მომავალი კვირის დასაწყისში უნდა უთხრას.

თურქეთის თასის მატჩში მიღებული ფეხის ტრავმის გამო „ბეშიქთაშის“ ნახევარმცველმა ნიჰათ ქანვეჩიმ ხელიდან გაუშვა ესპანურ „რეალ სოსიედადთან“ ხუთმილიონიანი კონტრაქტის გაფორმების შანსი. 22 წლის ფეხბურთელი უკვე მზად იყო კონტრაქტის ხელმოსაწერად, თუმც ესპანურმა კლუბმა მოისურვა, გაერკვია, რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა.

**პორტუგალიის** ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი ლუიშ ფიგუ აპირებს, კონტრაქტი გააფორმოს ამერიკულ კომპანია „კოკა კოლასთან“. გამაგრილებელი სასმელების მწარმოებელი გიგანტური კონცერნი ამ ხელშეკრულებით რეკლამებში ფიგუს გამოსახულების გამოყენების უფლებას მიიღებს. კონტრაქტის ვადა, სავარაუდოდ, სამი წელი იქნება, ხოლო სარეკლამო კამპანია მომავალი წლის იანვარში დაიწყება. აქვე შევნიშნოთ, რომ ფიგუს გამოსახულების გამოყენების უფლება აქამდე მხოლოდ „სამეფო კლუბს“ ჰქონდა. ასე რომ, „რეალი“ არც ამ გარიგებაში დარჩება გვერდზე.

გერმანული ბუნდესლიგის პირველი წრის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ლევერკუზენის „ბაიერი“ 36 ქულით სათავეში უდგას სატურნირო ცხრილს. ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. ამიტომაც კლაუს ტოპმიოლერის კლუბი ლიდერობის შესანარჩუნებლად საკადრო ცვლილებების განხორციელებას გეგმავს. ნახევარმცველ მიხაელ ბალაკისა და მცველ ლუსიოს კლუბიდან მოსალოდნელი აბარგება შესაბამის რეზერვებს მოითხოვს. „ულფ კირსტენი ჩვენთან კონტრაქტს გააგრძელებს და გოლებს კვლავ „ბაიერისთვის“ გაიტანს“ — განაცხადა კლუბის მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა „კიკერის“ კორესპონდენტთან საუბრისას. ერთიცაა, ლევერკუზენელები 36 წლის კირსტენის შემცვლელს უკვე ეძებენ. მათ თვალი დაადგეს ბრაზილიური „სან პაულუს“ თავდამსხმელ ფრანკას, რომელთანაც მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

**იტალიურმა** გრანდმა ტურინის „იუვენტუსმა“ თავი 437 მილიონ ევროდ (387 მილიონი დოლარი) შეიფასა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კლუბის სახელი საფონდო ბირჟაზე გამოჩნდა. „ბებერი ქალბატონი გახდა მესამე იტალიური კლუბი „რომასა“ და „ლაციოს“ შემდეგ, ვინც აქციები საფონდო ბირჟაზე გაიტანა. ტურინული კლუბი, რომელსაც ტიფოზების ყველაზე მეტი რაოდენობა ქომაგობს, იტალიაში საკუთარი სალაროს შევსებას არასაფეხბურთო ბიზნესითაც აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ საფეხბურთო კლუბების აქციათა კურსი კვლავინდებურად ეცემა. „იუვენტუსის“ აქციათა უმეტესობას ანიელის ოჯახი ფლობს, რომელიც უდიდეს კომპანია „ფიატისაც“ ხელმძღვანელობს. ნოემბერში ანიელიმ განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს, კლუბის აქციათა გარკვეული ნაწილი მილანის საფონდო ბირჟაზე გაიტანოს. „იუვენტუსის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ანტონიო ჯირაუდომ კი ორიოდ დღის წინ თქვა, რომ აქციათა გაყიდვიდან შემოსული თანხა ტურინის გარეუბანში ახალი სპორტული ცენტრის აშენებასა და სტადიონ „დელე ალპის“ რეკონსტრუქციას მოხმარდება.

გერმანული სპორტული სააგენტოს ცნობით, „ჰამბურგის“ თავდამსხმელი ენტონი იებოა ყატარში გადაბარგებას აპირებს. 35 წლის განელი ამჟამინდელ კლუბს კონტრაქტის ვადის შემცირებაზე უკვე მოელაპარაკა. ფეხბურთელი 2001 წლის დეკემბერში თავისუფალი აგენტი გახდება. შეგახსენებთ, რომ აქამდე არსებული კონტრაქტის თანახმად იებოა „ჰამბურგში“ 2002 წლის ზაფხულამდე უნდა დარჩენილიყო. გუშინ იგი „ალიტტიჰად სპორტთან“ საბოლოოდ მოსალაპარაკებლად ყატარს ეწვია. „ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ. ენტონი კლუბთან ხელშეკრულებას მომავალი წლის მაისამდე გააფორმებს. ვფიქრობ, ყველა ფორმალობა ორიოდ დღეში მოგვარდება“ — განუცხადა სააგენტოს იებოას მრჩეველმა. გეტყვით, რომ 1993 და 1994 წლების სეზონის ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირის მომავალ კლუბს ავსტრიელი იოზეფ ჰიკერსბერგერი წვრთნის.

**ინგლისური** „ასტონ ვილას“ კოლუმბიელი თავდამსხმელი, კლუბისთვის სარეკორდო თანხად შეძენილი ხუან პაბლო ანხელი უარყოფს ხმებს მისი „პარმაში“ გადასვლის შესახებ. შეგახსენებთ, რომ ახლახან ინგლისურმა საინფორმაციო საშუალებებმა საფეხბურთო საზოგადოებას ამცნეს, რომ ანხელით „პარმაა“ დაინტერესებული. თუმც 26 წლის ფეხბურთელი საწინააღმდეგოს ამტკიცებს. „ორიოდ დღის წინ ბოგოტადან დამირეკა ერთ-ერთმა კორესპონდენტმა, რომელმაც ბაბუის გარდაცვალება შემატყობინა. გარდა ამისა, „პარმაში“ გადასვლაზეც მკითხა“ — განაცხადა ანხელმა. „მე ვთქვი, ბედნიერი ვარ, ასეთი დონის კლუბების ყურადღებას რომ ვიმსახურებ, თუმც ვამაყობ, რომ „ასტონ ვილაში“ ვთამაშობ-მეთქი. სამწუხაროდ, ჩემი სიტყვები სხვანაირად გაიგეს“ — სიტუაციას ნათელი მოჰფინა ანხელმა, რომელმაც ამ სეზონში რვა გოლის გატანა შეძლო.

გერმანული „კიოლნის“ ნახევარმცველი მარკო რაიხი ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ფეხბურთელმა წინა ტურში დორტმუნდის „ბორუსიასთან“ მატჩისას გვერდით მსაჯს შუა თითი აჩვენა. ეს საქციელი კი გერმანიის საფეხბურთო კავშირმა არასპორტულ ქმედებად შეაფასა. რაიხი ამ მატჩში გაძევებას იმის გამო გადაურჩა, რომ მთავარ მსაჯ ჰერბერტ ფანდელს ეს მომენტი გამოეპარა. „რომ დამენახა, რა თქმა უნდა, მოედნიდან გავაძევებდი“ — თქვა ფანდელმა.

**არგენტინული** „ლანუსის“ 27 წლის თავდამსხმელმა, უკრაინული წარმოშობის დიეგო კლიმოვიჩმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა გერმანულ „ვოლფსბურგთან“. გერმანულ კლუბს ეს ტრანსფერი 2,5 მილიონი დოლარი დაუჯდა, რითაც კლიმოვიჩი ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდა კლუბისთვის ბულგარელი მარტინ პეტროვის შემდეგ. შეგახსენებთ, რომ ზაფხულში დიეგო კლიმოვიჩმა კიდევ სამ სხვა უკრაინული წარმოშობის არგენტინელ ფეხბურთელთან ერთად წინაპართა ქვეყნის ნაკრებში თამაშის სურვილი გამოთქვა. თუმც ამ წინადადებას დღემდე არ გამოხმაურებია უკრაინის ნაკრების ხელმძღვანელობა.

# არსენი მართლაც არსენალია!
## ვენგერს თოფი ფულს ურჩევნია



### არსენ ვენგერი

დაიბადა 1949 წლის 22 ოქტომბერს საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურში
1969-1980: თამაშობდა „მუციგში“, „მულუზში“ და „სტრასბურში“, რომლის შემადგენლობაშიც 1979 წელს საფრანგეთის ჩემპიონი გახდა
1984: დანიშნეს „ლორიანის“ მწვრთნელად
1987: ჩაიბარა „მონაკო“ და მომდევნო წელს საფრანგეთის ჩემპიონატი მოაგებინა
1991: „მონაკოსთან“ ერთად საფრანგეთის თასი მოიგო
1992: „მონაკო“ თასების მფლობელთა თასის ფინალში გაიყვანა
1995 : იაპონური ჯეი ლიგის „ნაგოია გრამპუს ეიტის“ მწვრთნელი გახდა, იმავე წელს ვენგერი იაპონიის წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს
1996: „ნაგოია ეიტსმა“ იაპონიის სუპერთასი და იმპერატორის თასი მოიგო. სექტემბერში ინგლისში გადაბარგდა და „არსენალის“ მწვრთნელი გახდა
1998 : „არსენალმა“ დუბლი მოიგო. ლონდონელებმა პრემიერლიგაში და ინგლისის თასზე გაიმარჯვეს. იმავე წელს ვენგერი ინგლისში საუკეთესო მენეჯერად დაასახელეს
2000 : „არსენალი“ უეფას თასის ფინალში გაიყვანა, სადაც პენალტების სერიაში დამარცხდა
2001: გუშინწინ კლუბთან ოთხი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი

**ლონდონის** „არსენალის“ მწვრთნელმა არსენ ვენგერმა კლუბთან კიდევ ოთხი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი. ფრანგი სპეციალისტი „ჰაიბერიზე“ 2005 წლამდე დარჩება. ამით მან წერტილი დაუსვა ჭორებს, თითქოს იგი კლუბიდან წასვლას აპირებდა და „მანჩესტერ იუნაიტედში“ სერ ალექს ფერგიუსონის მაგივრობას გასწევდა.

ვენგერმა „მეთოფეები“ 1996 წლის სექტემბერში ჩაიბარა. ფრანგი უმალ შეიქნა ლონდონელი ფანების კერპი, როცა 1997-98 წლების სეზონში მისი თავკაცობით „არსენალმა“ პრემიერლიგა და ქვეყნის თასი მოიგო. ვენგერმა გუნდი უეფას თასის ფინალშიც გაიყვანა, სადაც სტამბოლის „გალათასარაისთან“ პენალტების სერიაში დამარცხდა. შარშან „არსენალი“ ინგლისის თასის ფინალშიც გავიდა, მაგრამ იქაც ხელი მოეცარა.

ბოლო დროს ინგლისურ პრესაში გაჩნდა ცნობა, რომ ვენგერს იაპონიის ეროვნული გუნდის მწვრთნელობას სთავაზობენო, მაგრამ ყველაზე რეალურ ვარიანტად მისი „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლა ითვლებოდა. მით უმეტეს, რომ ფრანგი სპეციალისტი განთქმულ მწვრთნელთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებსაც დიდხანს უმუშავიათ ინგლისში და, რაც მთავარია, შედეგიანად.

„მე არაერთი შესაძლებლობა მქონდა, წავსულიყავი და გაცილებით სარფიან წინადადებას დავთანხმებულიყავი, მაგრამ „არსენალში“ ვრჩები. ალბათ იმიტომ, რომ სიტყვის გატეხვა არ მჩვევია. იმაზე ხუთჯერ მეტიც რომ შემომთავაზონ, ვიდრე ახლა ვიღებ, მაინც „არსენალში“ დავრჩები. ვიმედოვნებ, კლუბში ისევე დიდხანს ვიმუშავებ, როგორც ალექს ფერგიუსონი „მანჩესტერში“ — განუცხადა არსენ ვენგერმა ჟურნალისტებს.

**ბაჩო სვანიძე**

# ფიოლერი 2006
## რუდიმ გამოწვევა მიიღო

**2000 წლის 2 ივლისი** — იმ დღეს რუდი ფიოლერი გერმანიის ეროვნული გუნდის მწვრთნელად დაინიშნა და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვება დაეკისრა.

მას შემდეგ ფიოლერმა ბევრი რამ გადაიტანა. რუდის გაწვრთნილმა ბუნდესნაკრებმა „უემბლიზე“ წააქცია კევინ კიგანის ინგლისი. „მეფე რუდი“ — ასე მოიხსენიეს იგი სამშობლოში ამ მოგების შემდეგ. თუმც სვენ გორან ერიკსონის ინგლისმა „უემბლი“ ერთიხუთად აზღვევინა — 1 სექტემბერს ფიოლერის დიდებას წყალი შეუდგა. შესარჩევი ეტაპის დასკვნით მატჩში კი გერმანელებმა შინ ვერაფერი მოუხერხეს ფინეთს (0:0) და პლეი ოფის იმედად დარჩნენ.

14 ნოემბერი — გერმანიამ უკრაინას გადაუარბინა (4:1) და კორეა-იაპონიის საგზური დაიბევა.

ფიოლერს გაჭაღარავებულ ხუჭუჭაზე ხელი გადაუსვეს და ნიშნად ნდობისა და სიყვარულისა გუშინ ხელმოსაწერად გამზადებული კონტრაქტი დაუდეს — რუდი ფიოლერი გერმანიის ეროვნულ გუნდს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლომდე უხელმძღვანელებს.

„გერმანიის საფეხბურთო კავშირი ამას სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნევს და გვჯერა, რომ ეს დადებითი იმპულსი იქნება ჩვენი ეროვნული გუნდისთვის“ — განუცხადა გერმანულ საზოგადოებას კავშირის პრეზიდენტმა გერჰარდ მაიერ-ფორფელდერმა.

„ამ გამოწვევას ვიღებ და მადლობელი ვარ, რომ ჩემი სჯერათ — იმტაზეა რუდი ფიოლერი და იქვე დასძენს — ვგრძნობდი, რომ ბოლო 16 თვის განმავლობაში რალაც-რალაცეებში წინსვლა დავვეტყო და ჩვენ შეგვიძლია ახალი გუნდის შენება დავიწყოთ. სწორედ ამის გამო მივიღე იოლად ეს გადაწყვეტილება“.

სულგრძელად მოიქცა და კლუბის ინტერესები ქვეყნის ინტერესებს ანაცვალა „ლევერკუზენის“ მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა. საქმე ისაა, რომ რუდი ფიოლერს, როგორც „ლევერკუზენის“ სპორტულ დირექტორს, კლუბთან 2003 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი. გერმანიის საფეხბურთო კავშირთან მოლაპარაკებას სწორედ კალმუნდი აწარმოებდა და ფიოლერიც ბუნდესნაკრებისთვის დათმო. სანაცვლოდ, გერმანიის ეროვნული გუნდი კორეა-იაპონიაში გამგზავრებამდე ერთ-ერთ ამხანაგურ მატჩს ლევერკუზენში ჩაატარებს.

**დავით თაგართქილაძე**




გარიგების შემდეგ: გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი, რუდი ფიოლერი, რაინერ კალმუნდი

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# იტალია

პაპუნა კედია

# გუგუნი სან სიროზე

| XIV ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| პიაჩენცა | - | ბოლონია |
| ხვალ | | |
| ბრეშა | - | ინტერი |
| კიევო | - | ლეჩე |
| ლაციო | - | ფიორენტინა |
| მილანი | - | იუვენტუსი |
| პარმა | - | რომა |
| პერუჯა | - | ვენეცია |
| ტორინო | - | ატალანტა |
| უდინეზე | - | ვერონა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 12 | 7 | 4 | 1 | 21:11 | 25 |
| კიევო | 12 | 7 | 2 | 3 | 24:14 | 23 |
| რომა | 12 | 6 | 5 | 1 | 18:8 | 23 |
| მილანი | 12 | 6 | 4 | 2 | 21:14 | 22 |
| იუვენტუსი | 12 | 5 | 5 | 2 | 19:11 | 20 |
| ლაციო | 12 | 5 | 5 | 2 | 15:7 | 20 |
| ბოლონია | 12 | 6 | 2 | 4 | 9:9 | 20 |
| ვერონა | 12 | 5 | 4 | 3 | 17:16 | 19 |
| ბრეშა | 12 | 4 | 5 | 3 | 18:20 | 17 |
| უდინეზე | 12 | 4 | 3 | 5 | 20:21 | 15 |
| ატალანტა | 12 | 4 | 2 | 6 | 14:22 | 14 |
| ტორინო | 12 | 3 | 4 | 5 | 14:17 | 13 |
| ლეჩე | 12 | 3 | 4 | 5 | 13:18 | 13 |
| პიაჩენცა | 12 | 3 | 3 | 6 | 16:17 | 12 |
| პარმა | 12 | 2 | 5 | 5 | 13:17 | 11 |
| პერუჯა | 12 | 2 | 4 | 6 | 9:16 | 10 |
| ფიორენტინა | 12 | 3 | 1 | 8 | 15:26 | 10 |
| ვენეცია | 12 | 0 | 4 | 8 | 6:18 | 4 |

**„მილანი" — „იუვენტუსი",** იტალიის ჩემპიონატის სუპერთამაში, ამჯერად ტრადიციულ ინტრიგასთან ერთად პირადი ინტერესითაც გახლავთ შელამაზებული — „მილანის" თავკაც კარლო ანჩელოტის, გასულ ზაფხულს „იუვენტუსის" მწვრთნელის თანამდებობიდან რომ გაათავისუფლეს, შურისძიების საშუალება ეძლევა. მერედა, ვინ გაიკვირვებს მისგან შურისძიებას? საყოველთაო აზრი ხომ ისეთია, რომ ტურინიდან იგი დაუმსახურებლად გაუშვეს.

ანჩელოტის, რომლის ხელმძღვანელობითაც „იუვენტუსმა" 1999-2000 წლების ჩემპიონატის ბოლო ტურში თითქმის მოპოვებული ტიტული დაკარგა (ჩემპიონი „ლაციო" გახდა), ხოლო წინა სეზონში „რომას" მომდევნო, მეორე ადგილი დაიკავა, გამოუცხადეს, რომ მისი მუშაობით უკმაყოფილონი იყვნენ და მის ნაცვლად თანამდებობაზე მარჩელო ლიპი დანიშნეს.

ასე რომ ხვალ, კვირას, შესაძლო რევანშის დღეა — ანჩელოტი იტალიის უტიტულოვანესი გუნდის დასამარცხებლად მეორე უტიტულოვანესი გუნდით ემზადება.

ტიტულები ვახსენეთ: იტალიური სერია — A 96 სეზონს ითვლის და ამ 96-იდან 25-ჯერ სკუდეტო ტურინის „ბებერმა ქალბატონმა" მოიგო. „მილანი" მეორეზეა — 16-ჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. სამაგიეროდ, „მილანს" ჩემპიონთა თასი აქვს მეტჯერ მოპოვებული. თუ „იუვე" კონტინენტის ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოს ორჯერ დაეუფლა, „მილანს" იგი ხუთჯერ აქვს აღმართული და ამ თვალსაზრისით ევროპაში მხოლოდ მადრიდის „რეალს" ჩამორჩება. შეგახსენებთ, ესპანეთის „სამეფო გუნდს" ჩემპიონთა თასი რვაჯერ აქვს მოგებული. ახლა საკითხი კიდევ სხვაგვარად შემოვატრიალოთ: ევროპაში სამი თასი არსებობდა (ორი დარჩა), ჩემპიონთა, უეფასა და თასების მფლობელთა. მათგან „ბებერ ქალბატონს" სამივე აქვს მოგებული, ხოლო „მილანს" ორი — უეფას თასი აკლია.

ასეა თუ ისე, ტიტულებს ხვალინდელ თამაშთან კავშირი ნაკლებად აქვს და „სან სიროზეც" გუგუნი გარანტირებულია — 80 ათასი ბილეთი უკვე გაყიდული გახლავთ.

სხვათა შორის, „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ აღიარა, რომ ანჩელოტის დანიშვნა ერთი თვის წინ კი არ სურდა, არამედ გაზაფხულზევე უნდოდა მოლაპარაკებოდა, მაგრამ მაშინ არ იცოდა, რომ „იუვენტუსი" მისი თანამდებობიდან გაშვებას აპირებდა და თავი შეიკავა. ერთი სიტყვით, „შავ-წითელთა" სათავეში თურქი ფატიჰ თერიმის ყოფნა იმთავითვე დროებითი მოვლენა ყოფილა.

ანჩელოტი, როგორც იცით, ფეხბურთელობისას იმ „დიდ მილანში" თამაშობდა, 80-იანი წლების ბოლოს ტიტულს ტიტულზე რომ იგებდა და ახლა, მშობლიურ წიაღში მწვრთნელად დაბრუნების შემდეგ, საქმესაც ჩინებულად შეუდგა — გუნდი მეოთხე ადგილზე ავიდა და „იუვენტუსს" ორი ქულით უსწრებს.

და თუ ხვალ „მილანი" „იუვეს" დაამარცხებს, მარჩელო ლიპის ერთობ მოელუშება სახე. თავად განსაჯეთ, სამშაბათს, „ბებერმა ქალბატონმა" ჩემპიონთა ლიგაში „არსენალისგან" შთამბეჭდავი მარცხი იწვნია — 1:3 და თუ ზედიზედ მეორე, აწ უკვე საშინაო ჩემპიონატის შეხვედრაში მოეცარა ხელი, საახალწლოდ ერთობ უსიამოვნო დღეში ჩავარდება.

თუმცა, ახალ წლამდე ჯერ კიდევ სამი ტურია, ხოლო სამი ტური ცხრა ქულას ნიშნავს. და როგორ გამოიყენებს ამ ცხრა ქულის მოპოვების შანსს ლიდერი და „სან სიროს" მეორე პატრონი „ინტერი"? მან ხომ ერთი კვირის წინ „კიევოს" გადაასწრო და ახლა მოპოვებული უპირატესობის განმტკიცება სურს?

ამ ტურში „ინტერი" ბრეშაში თამაშობს, ხოლო „კიევო" შინ, ვერონაში „ლეჩეს" მასპინძლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ლიდერის კვლავ შეცვლა სულაც არ არის გამორიცხული.

ჩემპიონი „რომა", რომელიც ქულათა რაოდენობით „კიევოს" ტოლადაა, ვერონელებზე ნაკლებ როდია ჩასაფრებული. იგი კრიზისით მოცულ „პარმას" სტუმრობს. თუმცა „პარმა" უეფას თასზე დანიური „ბრონდბიუს" დამარცხების შემდეგ მაინც უკეთეს ხასიათზეა.

ნუ დავივიწყებთ „ლაციოსაც". იგი კრიზისთა კრიზისში მყოფ „ფიორენტინას" მასპინძლობს. აი, რაც შეეხება აუტსაიდერ „ვენეციას", მას მიმდინარე სეზონში პირველი გამარჯვების იმედი აქვს — პერუჯაში მიდის.



ამათგან „იუვენტუსში" აღარავინაა: ფილიპო ინძაგი და კარლო ანჩელოტი „მილანში", ზინედინ ზიდანი კი „რეალში" გადაბარგდნენ

# ინგლისი

ვაჟა [illegible]




დენი მერფიმ, გარი მაკალისტერმა და მათმა „ლივერპულმა" პატარების დაჩაგვრაც უნდა ისწავლონ

# ყველაფერი ახლა წყდება?

| XVI ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ჩარლტონი | - | ტოტენჰემი |
| დერბი ქაუნთი | - | ბოლტონი |
| ფულემი | - | ევერტონი |
| ლესტერი | - | საუთჰემპტონი |
| ლივერპული | - | მიდლსბრო |
| მანჩესტერი | - | ვესტ ჰემი |
| ხვალ | | |
| არსენალი | - | ასტონ ვილა |
| ბლექბერნი | - | ლიდსი |
| სანდერლენდი | - | ჩელსი |
| იფსვიჩი | - | ნიუკასლი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 13 | 9 | 2 | 2 | 23:11 | 29 |
| არსენალი | 14 | 7 | 5 | 2 | 30:15 | 26 |
| ლიდსი | 14 | 6 | 7 | 1 | 16:8 | 25 |
| ნიუკასლი | 14 | 7 | 3 | 4 | 24:18 | 24 |
| ტოტენჰემი | 15 | 7 | 3 | 5 | 24:20 | 24 |
| ასტონ ვილა | 15 | 6 | 6 | 3 | 19:15 | 24 |
| ჩელსი | 15 | 5 | 8 | 2 | 19:12 | 23 |
| მანჩესტერი | 14 | 6 | 3 | 5 | 31:26 | 21 |
| ევერტონი | 14 | 5 | 5 | 4 | 20:17 | 20 |
| ბოლტონი | 15 | 5 | 5 | 5 | 20:20 | 20 |
| ბლექბერნი | 15 | 4 | 7 | 4 | 21:17 | 19 |
| ფულემი | 14 | 4 | 7 | 3 | 15:13 | 19 |
| სანდერლენდი | 15 | 5 | 4 | 6 | 13:15 | 19 |
| მიდლსბრო | 15 | 5 | 4 | 6 | 17:20 | 19 |
| ჩარლტონი | 15 | 4 | 6 | 5 | 18:19 | 18 |
| ვესტ ჰემი | 15 | 4 | 4 | 7 | 17:28 | 16 |
| ლესტერი | 15 | 3 | 4 | 8 | 9:25 | 13 |
| საუთჰემპტონი | 14 | 3 | 1 | 10 | 11:24 | 10 |
| დერბი ქაუნთი | 14 | 2 | 4 | 8 | 10:24 | 10 |
| იფსვიჩი | 15 | 1 | 6 | 8 | 14:24 | 9 |

**„ლივერპულს"** თუ ჩემპიონობა სურს, წინა წლებისგან განსხვავებით, მიდლსბროსნაირ გუნდებთან, შინ მაინც, ქულები არ უნდა დაკარგოს. თანაც, განსაკუთრებით ძლიერად უნდა განვლოს დეკემბერ-იანვრის მეტად დახუნძლული პერიოდი, როცა პრემიერლიგის გარდა სხვა საზრუნავი არ გააჩნია. ღვთის მადლით, ოუენი ფორმაშია...

ლამის ისე გამოგვივიდა, როგორც ერთ ცნობილ ქართულ ფილმში: ბებია, ავტობუსი რომ კარგად გაჩერდება, მერე ჩამოდიო. აბა, მერსისაიდელებს ჩვენი რჩევა რად უნდათ — 1990 წლის მერე საკუთარი ჩემპიონატი ვერ მოუგიათ, ანუ: „ლივერპული" პრემიერლიგის (დაარსდა 1992 წელს) გამარჯვებული არასდროს ყოფილა.

წლეულს შანსია — „მანჩესტერ იუნაიტედში" საქმე მთლად აწყობილი ველარაა და თუმცა „ბოავიშტასთან" 3:0 მოგებამ „წითელ ეშმაკუნათა" ფანებს კრიზისის დაძლევის იმედი მისცა, 8-ქულიანი სხვაობა ლიდერთან (პოტენციურად კი 11) მართლაც ძნელად დასაძლევი რამაა.

დღეს ლიდერიცა და ჩემპიონიც შინ თამაშობენ. ფილ ტომპსონის გუნდი არგენტინელი კარლოს მარინელოს გარეშე დარჩენილ „მიდლსბროს" შეხვდება და ლიგაში 10-თამაშიანი წაუგებელი სერიის გაგრძელებას შეეცდება, „იუნაიტედი" კი „ოლდ ტრეფორდზე" აღმოსავლეთლონდონურ „ვესტ ჰემს" უმასპინძლებს.

„ჩაქუჩები" შუა კვირაში ქულას გამორჩნენ და ეს წარმოშობით ასევე აღმოსავლეთლონდონელი დევიდ ბექჰემის სასიძოს (დის საქმროს) ჯერმენ დეფოს დამსახურებაა. დღეს ამ კაცს მომავალ ცოლისძმასთან დაპირისპირება უწევს, თუმცა ითამაშებს კი თავად ბექჰემი? სერ ალექსმა ხომ პორტუელები მის გარეშეც მშვენივრად გაანადგურა. ამ მატჩზე კიდევ ერთიც ვთქვათ — ჩვენებურ მეკუშეებს თამამად შეუძლიათ მეტ გოლზე დადგნენ, ვინაიდან „მანჩესტერს" 26 გოლი აქვს გაშვებული, რაც ლიგაში მეორე უარესი შედეგია. ამაზე მეტის გაშვება მხოლოდ „ვესტ ჰემმა" მოახერხა — 28. არც ის დაგავიწყდეთ, რომ წლეულს, იანვარში, „ვესტ ჰემმა" ერთხელ უკვე მოიგო „ოლდ ტრეფორდზე", როცა პაოლო დი კანიოს გოლით მასპინძლები თასის გათამაშებას გამოთიშა.

კიდევ ვინ არის ოუენიანი „ლივერპულის" კონკურენტი? ცხადია, ანრიანი „არსენალი". ინგლისის ჩემპიონისა და იტალიის ვიცე-ჩემპიონის ერთნაირი ანგარიშით (3:1) დამარცხებებმა დაგვანახა, რომ ვენგერი ამ სეზონშიც ყველა ტიტულისთვის იბრძოლებს. ხვალ ლონდონელები დაუხვდებიან „ასტონ ვილას", რომელსაც 6 მატჩია, არ მოუგია და, შესაბამისად, ოქტომბრის ლიდერის სტატუსი მეექვსეადგილოსნისაზე გაცვალა. ორივე გუნდში მეკარეების პრობლემაა: მასპინძლების კარს ისევ რიგით მესამე სტიუარტ ტეილორი დაიცავს, სტუმრებს კი პიტერ შმაიხელი დაუშავდათ.

ხვალვე თამაშობენ „არსენალის" კუდში მიმდევრები — „ლიდსი" და „ნიუკასლი". იორკშირელებს ლიგაში ყველაზე კარგი დაცვა ჰყავთ (მხოლოდ 8 გაშვებული გოლი), თუმცა შეტევაში, სხვებს რომ თავი ვანებოთ, მე-16 ადგილზე მყოფ „ვესტ ჰემზე" უარესადაც კი ირჯებიან. ეს განსაკუთრებით ბოლო 7 თამაშში გამოჩნდა (მხოლოდ ერთი მოგება) და ამიტომაც დაფაცურდა დევიდ ოლირი — ბლექბერნში ალბათ, კვლავ ითამაშებს რობი ფაულერი. სამაგიეროდ, ლიდსელებს არ ეყოლებათ ტრავმირებული ერიკ ბაკე და ლი ბოიერი. „ნიუკასლი" კი მიმდინარე სეზონში უკვე მეორედ ხვდება „იფსვიჩს", რომელიც ორი კვირის წინ ლიგის თასზე უკვე გაანადგურა 4:1. თუ გავითვალისწინებთ, რომ უეფას თასიდან გავარდნილი „იფსვიჩი" ბოლო ადგილზეა, ჩემპიონატის ბოლო ხუთი მატჩიდან ოთხი წააგო, ხოლო ჯორდებს ტრავმამოშუშებული კირონ დაიერი უბრუნდებათ, სტუმრების გამარჯვებაში ეჭვი ნაკლებად შეგვეპარება.

შუა კვირის გმირი „ჩარლტონი", რანიერის „ჩელსი" რომ დაამარცხა, კვლავ თანაქალაქელებს შეერკინება — ამჯერად „ტოტენჰემს", თანაც შინ, გრინვიჩის მერიდიანის შორიახლოს. გლენ ჰოდლის გუნდი წლეულს ევროპაში გასასვლელად იბრძვის, თანაც ტედი შერინგემი ჩვეულ ფორმაშია, ამიტომ, აქაც სტუმრებს მივანიჭებთ უპირატესობას. მით უმეტეს, რომ სტუმრად არცთუ ცუდად მოთამაშე „ჩარლტონი" საკუთარ „ველიზე" უბადრუკად ირჯება — მხოლოდ ერთი გამარჯვება აქვს.

დანარჩენ შეხვედრებზე კი ორ-ორი სიტყვით გაცნობებთ: მაჩანჩალათა დუელს ლესტერში გამოაკლდება მასპინძელთა ლიდერი, თურქი მაზი იზეტი; სანდერლენდში „ჩელსის" ემანუელ პეტი დაუბრუნდება (ალბათ, დალა ბონას ნაცვლად); 14 თამაშში ოდენ 15 გოლის გამტანი „ფულემი" ბოლო სამ მატჩში გოლგაუშვებელ „ევერტონს" უმასპინძლებს, „ჩვენი დარდი" ანუ „დერბი" კი კვლავ შოტლანდიელი ბარლის, არგენტინელი კარბონარის და ფინელი ვალაკარის გარეშე ითამაშებს, რაც ქინქლაძის წისქვილზე ასხამს წყალს.

## გერმანია

დავით თავართქილაძე

# კლაუსს კლაუსისა, ჰიცფელდს სანტა კლაუსისა

**ერთი შეხედვით,** საქმეს ისეთი პირი უჩანს, ეს ტური სენსაციებს ვერ გამოაცხობს და ვერც ლიდერთა მარაქაში შეცვლის რამეს, თუმც პროგნოზების კეთება მაინც არ ივარგებს — ბუნდესლიგას ასეთები არ უყვარს.

კლაუს ტოპმიოლერის „ლევერკუზენი“ კლაუს აუგენტალერის „ნიურნბერგს“ დაუხვდება. ორი კლაუსის შერკინება უინტერესო არ უნდა გამოდგეს, მიუხედავათ იმისა, რომ გუნდები ცხრილის სხვადასხვა პოლუსებზე არიან. ბავარიელებს ყველანი ჯანზე ჰყავთ და მათგან დისკვალიფიცირებული არავინაა. ლევერკუზენელები კი გუნდის კაპიტანსა და ლიბეროს იენს ნოვოტნის მოისაკლისებენ — მას ყვითლები დაუგროვდა.

თუ „ნიურნბერგი“ პირველ წუთებზე არ გატყდა, მასპინძლებს მოგება ერთობ გაუძნელდებათ. აუგენტალერის გუნდს შესწევს ძალა, ხასიათი გამოავლინოს, ორი ტურის წინ „ოლიმპიაშტადიონიდან“ რომ ორი ქულა აწაპნა „ბაიერნს“, ამის დასტურად გამოდგება.

მეორეადგილოსან „დორტმუნდს“ უფრო სახელიანი მეტოქე კი ჰყავს, მაგრამ „ჰამბურგი“ კარგა ხანია, დიდი ხვითო აღარ არის. თანაც ჩრდილოელებს დაშავებული არგენტინელი შემტევი რუდოლფო კარდოზოც არ ეყოლებათ, სამაგიეროდ, დანიელი ფორვარდი კიმ კრისტიანსენი მომჯობინდა და ეგებ აზეიროს კიდეც შეტევაში ერთობ უფერულად მოთამაშე „ჰამბურგი“.

ანდრეას ბრემეს „ლაუტერნი“ დღეს ყოფილ გდრ-ში მოსინჯავს ძალას. „კოტბუსი“ შინ ძალზიან ძნელი წასაქცევია, „კაიზერსლაუტერნი“ კი ამოუცნობი გუნდი — ამ მატჩში მართლაცდა ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

ბოლო დროს დაწინაურებული ბრემენის „ვერდერი“ ბოლოადგილოსან „ზანკტ პაულთან“ იბრძოლებს. ბრემენელებმა ბუნდესლიგის წლევანდელ გათამაშებაში შინ „ბაიერნიც“ დაიბრიყვეს და „ლევერკუზენიც“, მაგრამ „ზანკტ პაული“ კბილებს ილესავს — ბრემენელებს ბოლოს 1977 წელს მოვუგეთ 3:1 და დროა, კიდევ ერთხელ ვასწავლოთ ჭკუაო.



კლაუს ტოპმიოლერი

ისტორიას შტუტგარტშიც იხსენებენ. მათ შინ ბოლოს 1981 წელს მოუგეს მიუნხენელ „ცისფერ ლომებს“. მასპინძლებს დაშავებული მცველი თომას შნაიდერი არ ეყოლებათ. მიუნხენელები კი იმედს დავორ შუკერს უკავშირებენ — შტუტგარტში რატომღაც მაინცდამაინც ხორვატმა უნდა იყოჩაღოსო.

უმთავარმწვრთნელოდ ესტუმრება მიონხენგლადბახს „ჰანზა“. როსტოკელებმა წინა შაბათს შინ „ვოლფსბურგთან“ წაგება ველარ აპატიეს ფრიდჰელმ ფუნკელს და გუნდს „გლადბახთან“ მეორე მწვრთნელი იური შულცი გაიყვანს. მასპინძელთა მთავარი პრობლემა სულ სხვაა — მათ კვლავ არ ეყოლებათ ტრავმირებული პირველი მეკარე უვე კამპსი.

ჩვენებურთა გუნდების მატჩზე იმას გეტყვით, რომ „კიოლნი“ დისკვალიფიცირებული ნახევარმცველ მარკო რაიხს ვერ დაიხმარს. არჩილ არველაძის გარდა კიოლნელებს ტრავმირებული არავინ ჰყავთ, „ფრაიბურგის“ მცველები დანიელ შუმანი და ოუმარ კონდე კი დასტაქრების ხელში არიან. ცნობისთვის, ფოლკერ ფინკეს გუნდმა ბოლო სამი ბუნდესლიგური მატჩი წააგო...

გელზენკირხენში ბერლინელებმა უნდა დაამტკიცონ, რომ წინა ტურში „ბაიერნის“ გვემა შემთხვევითობა არ ყოფილა. ტრავმირებული სებასტიან დაისლერის გარეშე დარჩენილ „ჰერტას“ ყისმათიანი გუნდის სახელი კი აქვს დაგდებული, მაგრამ სტუმრად „შალკესთან“ ალბათ, გაუჭირდება. მასპინძლები კვლავ მოისაკლისებენ ემილ მპენზას და ვეტერან მცველ ივ აიგენრაუხს.

ტურის ცენტრალურ თუ არა, ყველაზე საინტერესო მატჩად გერმანიაში „ბაიერნი“ — „ვოლფსბურგი“ მიიჩნიეს. ოტმარ ჰიცფელდმა თავის ფეხბურთელებს კატეგორიულად განუცხადა, სამმატჩიანი ბუნდესლიგური ჩავარდნიდან ალმასვლა „ვოლფსბურგთან“ მატჩით უნდა დავიწყოთო. „ყველაფერი უნდა გავიღოთ იმისთვის, რომ შობას მაღალ ნოტაზე შევხვდეთ“ — განაცხადა ჰიცფელდმა. ბუნდესლიგა 18 დეკემბერს აიღებს ზამთრის შვებულებას, მანამდე კი სამი ტური უნდა მოითავოს. „შობამდე სამივე მატჩი უნდა მოვიგოთ. წლის ბოლოს ყველამ [illegible], რომ „ბაიერნს“ რეალური შანსი აქვს გერმანიის ჩემპიონის ტიტულის შესანარჩუნებლად“ — მესამე ადგილი არც კლუბის ვიცე-პრეზიდენტ კარლ-ჰაინც რუმენიგეს ეჭაშნიკება. „ბაიერნს“ ნამკურნალევი შტეფან ეფენბერგი და მეჰმეთ შოლი კი დაუბრუნდნენ, მაგრამ ოლივერ კანს კვლავ მუხლი სტკივა. მას, ალბათ, ისევ შტეფან ვესელსი შეცვლის.

| XVI ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ბაიერნი | - | ვოლფსბურგი |
| შტუტგარტი | - | მიუნხენი |
| კოტბუსი | - | ლაუტერნი |
| დორტმუნდი | - | ჰამბურგი |
| ზანქტ პაული | - | ვერდერი |
| ლევერკუზენი | - | ნიურნბერგი |
| გლადბახი | - | ჰანზა |
| ხვალ | | |
| ფრაიბურგი | - | კიოლნი |
| შალკე | - | ჰერტა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 15 | 11 | 3 | 1 | 38:17 | 36 |
| დორტმუნდი | 15 | 11 | 1 | 3 | 26:9 | 34 |
| ბაიერნი | 15 | 10 | 2 | 3 | 31:7 | 32 |
| ლაუტერნი | 15 | 10 | 1 | 4 | 33:20 | 31 |
| ვერდერი | 15 | 9 | 2 | 4 | 24:16 | 29 |
| ჰერტა | 15 | 8 | 3 | 4 | 25:19 | 27 |
| შალკე | 15 | 7 | 4 | 4 | 19:17 | 25 |
| შტუტგარტი | 15 | 6 | 5 | 4 | 18:15 | 23 |
| მიუნხენი | 15 | 6 | 2 | 7 | 20:27 | 20 |
| ვოლფსბურგი | 15 | 5 | 3 | 7 | 23:21 | 18 |
| ჰამბურგი | 15 | 4 | 4 | 7 | 19:25 | 16 |
| ფრაიბურგი | 15 | 4 | 4 | 7 | 19:26 | 16 |
| გლადბახი | 15 | 3 | 6 | 6 | 17:22 | 15 |
| ჰანზა | 15 | 3 | 4 | 8 | 13:22 | 13 |
| კოტბუსი | 15 | 3 | 4 | 8 | 13:26 | 13 |
| კიოლნი | 15 | 3 | 2 | 10 | 11:28 | 11 |
| ნიურნბერგი | 15 | 3 | 2 | 10 | 10:27 | 11 |
| ზანკტ პაული | 15 | 1 | 4 | 10 | 16:31 | 7 |

## ესპანეთი

გიორგი დარჯანია

# საუკუნის შურისძიება

## სელტა შიზოფრენიაზე ოცნებობს

**შიზოფრენია** — ასე შეაფასეს ესპანელმა მიმომხილველებმა „ბარსელონა“ თამაში „გალათასარაისთან“. იქამდე პრიმერადივიზიონის ბოლო სამ ტურში კატალონიელები ოდენ ერთ ქულას გამორჩნენ და მერვე ადგილამდე დაქვეითდნენ.

ამის ფონზე მათი ხვალინდელი მეტოქე „სელტა“, რომელმაც სამმატჩიან წაგებათა სერიას ბოლო მოუღო და „კამპ ნოუს“ დისკვალიფიკაციამოხდილი ალექსანდრ მოსტოვოისთან ერთად ესტუმრება, აშკარად უფრო ძლიერად გამოჩნდებოდა, რომ არა „ბარსელონა“ — „გალათასარაის“ მატჩის მეორე ტაიმი. შესვენების შემდეგ „ბარსამ“ ნაღდი ბარსელონური ფეხბურთი ითამაშა. შეუდარებელნი იყვნენ ხავიერ სავიოლა და მარკ ოვერმარსი, რომელთაც კარლოს რექსაჩი იშვიათად ათამაშებს სრულად.

მოკლედ, ასე შეგვიძლია ვთქვათ: თუ „ბარსას“ კვლავაც „შიზოფრენია“ მოუვლის, „სელტას“ დამარცხების არ უნდა შეეშინდეს, მაგრამ თუ გამოერკვა...

ასევე შევნიშნოთ, რომ მასპინძლებს დისკვალიფიცირებული პატრიკ კლუივერტი არ ეყოლებათ.

მადრიდის „რეალი“ ძველი ანგარიშების გასასწორებლად ჩადის სანტა კრუს დე ტენერიფეში. წინა საუკუნის 90-იან წლებში დედაქალაქელებმა პრიმერადივიზიონის ბოლო ტურებში სწორედ იქ დაკარგეს ორჯერ ჩემპიონის ტიტული.

მიუხედავად ასეთი სამწუხარო წარსულისა (ცხადია, „რეალისთვის“), „ტენერიფე“ „სამეფო კლუბთან“ მატჩებში არასდროს ითვლებოდა ფავორიტად და ახლაც ასე იქნება. მით უმეტეს, რომ კანარელებს დისკვალიფიკაციის გამო არგენტინელი თავდამსხმელი ბრუნო მარიონი დააკლდებათ, ხოლო „რეალი“ ბრწყინვალე ფორმაშია და ბოლო შვიდი მატჩიდან ექვსი მოიგო.

ზედიზედ ოთხი საგარეო მარცხის შემდეგ „დეპორტივო“ მშობლიურ „რიასორზე“ მასპინძლობს „ვალენსიას“, რომელსაც აგრეთვე უჭირს სტუმრად თამაში. უჭირს კი არა, ამ სეზონში ერთხელაც არ მოუგია. შემადგენლობის მხრივ ლაკორუნიელებს პრობლემები არ აქვთ, რასაც ვერ ვიტყვით „ვალენსიაზე“, რომელსაც დავიდ ალბელდა და მიგელ ანხელ ანგულო დაშავებულები ჰყავს.

ვიტორიული კლუბის ისტორიაში, რაც 71 წელს მოიცავს, პირველად მოხდა, რომ „ალავესი“ ცხრილის სათავეშია. ბასკები ლიდერობის განმტკიცებას სარაგოსაში ეცდებიან. ეს ის „სარაგოსაა“, რომელიც საკუთარი კედლების უპირატესობას ჯერჯერობით ვერ იყენებს. სტუმრებს არ ეყოლებათ დისკვალიფიცირებული მოსელინ მაგნო, თუმცა დაუბრუნდებათ ხორდი კრუიფი, რომელმაც მტკივანი კოჭი მოირჩინა.

მეორეადგილოსანი „რეალ ბეტისი“ კი ასევე სტუმრად „რეალ სოსიედადის“ დაჯაბვნას შეეცდება. ჯონ ტოშაკის გუნდი ახლა ბევრად უკეთესად თამაშობს, ვიდრე სეზონის დასაწყისში, თუმცა არც იმდენად, რომ შერყეული პოზიცია გაიმაგროს. გავიხსენოთ, რომ ბასკებს ამ კვირაში თურქი ნიჰათ ქანვეჩის გადაბირება სურდათ, მაგრამ ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა და გარიგებაც არ შედგა. სევილიური კლუბი კი კვლავაც საუკეთესო ფორმაში მყოფი დენილსონისა და ხოაკინის იმედადაა.

სტუმრები კიდევ ერთ მატჩში ითვლებიან ფავორიტებად: „სევილია“ — „ატლეტიკზე“ მოგახსენებთ. ბილბოელები სტუმრად ხომ ისედაც უკეთ თამაშობდნენ და რაც თავის „სან მამესზეც“ დაიწყეს მოგება, სულ ზევით მიიწევენ და აგერ მეოთხე ადგილზე არიან.

„ვილიარეალს“ ჯერაც ვერ მოუნელებია მარტინ პალერმოს სულელური დაკარგვა. შეგახსენებთ, რომ სამეფო თასისთვის მატჩში გატანილი გოლის სიხარული ვილიარეალელებმა სარეკლამო ფარზე შეხტომით გამოხატეს. ფარი ჩატყდა და არგენტინელის კოჭი ექვსი თვით შეიწირა. ამის შედეგიც იყო წინა ტურში „სელტასთან“ 1:3 მარცხი. თუმცა „ვილიარეალის“ ახლანდელი მეტოქე უფრო სუსტი „ესპანიოლია“, რომელმაც, სუსტი უძახეთ და წინა უქმეებზე „დეპორტივო“ დაამარცხა. მასპინძლები შეტევაში გიკა კრაიოვიანუსა და ვიქტორის შეწყვილებას აპირებენ.

| XVI ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| სევილია | - | ბილბაო |
| ტენერიფე | - | რეალი |
| ხვალ | | |
| ვილიარეალი | - | ესპანიოლი |
| ბარსელონა | - | სელტა |
| სარაგოსა | - | ალავესი |
| რაიო ვალეკანო | - | ლას პალმასი . |
| ოსასუნა | - | ვალიადოლიდი |
| სოსიედადი | - | ბეტისი |
| მალიორკა | - | მალაგა |
| დეპორტივო | - | ვალენსია |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალავესი | 15 | 8 | 3 | 4 | 17:9 | 27 |
| ბეტისი | 15 | 8 | 3 | 4 | 18:13 | 27 |
| დეპორტივო | 15 | 8 | 2 | 5 | 28:21 | 26 |
| ბილბაო | 15 | 7 | 5 | 3 | 21:19 | 26 |
| რეალი | 15 | 7 | 4 | 4 | 27:19 | 25 |
| სელტა | 15 | 6 | 6 | 3 | 29:18 | 24 |
| ვალენსია | 15 | 5 | 9 | 1 | 15:11 | 24 |
| ბარსელონა | 15 | 6 | 5 | 4 | 22:13 | 23 |
| ვილიარეალი | 15 | 6 | 3 | 6 | 16:15 | 21 |
| ვალიადოლიდი | 15 | 6 | 3 | 6 | 18:25 | 21 |
| სევილია | 15 | 5 | 5 | 5 | 23:18 | 20 |
| სარაგოსა | 15 | 6 | 2 | 7 | 15:19 | 20 |
| ესპანიოლი | 15 | 6 | 2 | 7 | 19:25 | 20 |
| მალაგა | 15 | 5 | 4 | 6 | 17:20 | 19 |
| ლას პალმასი | 15 | 5 | 3 | 7 | 16:14 | 18 |
| მალიორკა | 15 | 5 | 3 | 7 | 16:21 | 18 |
| ტენერიფე | 15 | 5 | 2 | 8 | 11:17 | 17 |
| ოსასუნა | 15 | 4 | 3 | 8 | 13:22 | 15 |
| სოსიედადი | 15 | 4 | 2 | 9 | 16:24 | 14 |
| რაიო ვალეკანო | 15 | 3 | 1 | 11 | 15:29 | 10 |



მუდამ მოჩხუბარი პატრიკ კლუივერტი ისევ დისკვალიფიცირებულია



დავიდ ჟინოლას მშვიდობისმოყვარულ კაცად იცნობენ

# უაიზი უარზეა
## ჟინოლა ჟინიანობას ნანობს

**კომუნისტურ ხანაში** პრესაში ასეთი რუბრიკა არსებობდა: „რედაქციაში წერილი მოვიდა“. ინგლისში კომუნისტებს რა უნდათ, მაგრამ წერილებს, აბა იქ აგზავნიან.

ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის თავმჯდომარემ მიკ მაკკაიერმა წერილი მიიღო, რომელშიც ეწერა:

„მსურს, ბოდიში მოვუხადო ყველას, ვისაც უნებურად შეურაცხყოფა მივაყენე, უპირველესად კი მისტერ უილკესს. იმ მომენტში ემოციას ავყევი და თავი ვერ შევიკავე, რაც საერთოდ არ მჩვევია. მინდა შეგახსენოთ, რომ სათამაშოდ ახალშესული ვიყავი მოედანზე, მაშინ, როცა ჩემი გუნდი აგებდა და ერთადერთი სურვილი მქონდა — როგორმე თამაში გადამერჩინა.

ალბათ ნახეთ, როგორ უხეშად მომექცა დენის უაიზი. მას შეეძლო, ჩემთვის ფეხი მოეტეხა. თავი ვერ შევიკავე და ხელი ვკარი, ხოლო როცა არბიტრმა წითელი ბარათი მიჩვენა, საბოლოოდ გამოვედი მოთმინებიდან. აქვე მინდა დაგარწმუნოთ, რომ მიუხედავად ჩემი ემოციური და გაუმართლებელი საქციელისა, მისტერ უილკისისთვის არ შემიგინებია. ზედმეტი ალელვებისგან ჩემთვის შევიგინე, რაც მისტერ უილკისმა თავის თავზე მიიღო“.

თუკი პრემიერლიგის წინა ტურში, კერძოდ კი „ასტონ ვილა“ — „ლესტერის“ შეხვედრაში მომხდარ ინციდენტზე გსმენიათ, მიხვდებოდით, რომ ამ წერილის ავტორი ბირმინგემელთა ფრანგი დავიდ ჟინოლაა. თუ რა მოხდა ამ მატჩში, წერილიდანაც კარგად ჩანს, მხოლოდ დავუმატოთ, რომ მისტერ უილკესი სათადარიგო არბიტრია, რომელიც გაავებული ფეხბურთელის მოედნიდან გაყვანას ცდილობდა. ჟინოლამ კი ლამის შუბლი შუბლში ჩასცხო.

ახლა მოვისმინოთ, რას ამბობს მომხდარზე „ჩელსის“ ყოფილი კაპიტანი, ამჟამად კი ლესტერელი დენის უაიზი, რომლის უხეში თამაშის გამოც ჟინოლა ასეთ ხათაბალაში გაება:

„გახსოვთ, ის შეცვლაზე შემოვიდა და თითქოს თამაში უნდა გაემწვავებინა. იმასაც შენიშნავდით, რომ ხეირიანი არაფერი გაუკეთებია, რამაც აანერვიულა — გრეგორი მას ისედაც იშვიათად ენდობა და ასეთი თამაშით საბოლოოდ დაკარგავდა მწვრთნელის ნდობას.

მე ის ჩვეულებრივ სათამაშო ეპიზოდში წავაქციე. ჯარიმა, ცხადია, იყო, მაგრამ განსაკუთრებულიც არაფერი ჩამიდენია, ასეთი დარღვევები ათობითაა თითოეულ მატჩში. მაშინვე შევატყვე, რომ გაცოფდა და სანამ აზრზე მოვიდოდი, მკერდში ჩამარტყა“.

ისე, სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ჟინოლას უაიზისთვის ხელი არც ისე ძლიერად უკვრია, როგორც ლესტერელმა გააფორმა.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ ჟინოლას ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტის წინაშე თავის გასამართლებლად ორკვირიანი ვადა მიეცა. თუ თავი ვერ შეაცოდა, 70-ათასგირვანქიანი ჯარიმა და ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაცია ელის. მოგეხსენებათ, ინგლისში ასეთი წესია: გაძევების შემდეგ (თუ მეორე ყვითელი ბარათით არ გააძევეს) ფეხბურთელი მომდევნო თამაშს ავტომატურად არ ტოვებს და კომიტეტის გადაწყვეტილებას ელოდება.

**ირაკლი ნინიძე**

# ცხვირი ჩივილს აპირებს

**რამდენიმე კვირის** წინ მარსელის „ოლიმპიკის“ მრავალტანჯულ ყოფილ მეპატრონეს, ამჟამად სპორტულ დირექტორ ბერნარ ტაპის ტელეჟურნალისტი შემოელახა. ამ ფრანგული კლუბის ამჟამინდელი და ყოფილი თანამშრომლები, ეტყობა, ცემა-ტყეპის დილოსტატები არიან.

„ოლიმპიკს“ აქამდე ფინანსურ დირექტორად ვინმე ლიერ დიუბიტონი ჰყოლია, რომელიც ნუ იტყვით და, მრისხანე ტაპისაც აშინებდა. ერთ მშვენიერ დღეს ექსცენტრიკულმა გენიამ, ბერნარ ტაპიმ დიუბიტონი სამსახურიდან დაითხოვა, ფულის თვლა არც მე მეშლება, თავად მივხედავ მაგ საქმესო. მუსიე პიერს პასუხად უთქვამს, ვაი, შენს პატრონს, მე რომ არ ვყოფილიყავი, შენი კლუბისგან ტკბილი მოგონებებიღა დარჩებოდაო. და მაინც, დიუბიტონი თავმოყვარე კაცი აღმოჩნდა, ხვეწნა არ დაუწყია და სავარძელი დატოვა.

გავიდა ხანი. პიერ დიუბიტონი კლუბის ოფისში დარჩენილი საქმეების დასასრულებლად დაბრუნდა. დერეფანში მას „ოლიმპიკის“ ვიცე-პრეზიდენტი ეტიენ ჩეკალდი გადაეყარა. აქ რისთვის მობრძანებულხარო, უკითხავს ჩეკალდის. საბოლოო ანგარიშსწორებისა და ბალანსის შესადგენადო, არ დაბნეულა ფინანსისტი. შინ მიბრძანდი და ყველა საჭირო დოკუმენტს იქ გამოგიგზავნიანო — არ დაიხია უკან ეტიენ ჩეკალდიმაც. როგორ მიბედავო, უთქვამს პიერ დიუბიტონს და ვიცე-პრეზიდენტისთვის თავი შიგ ცხვირში უთავაზებია. ბერნარ ტაპისთან მომუშავე კაცს, უეჭველია, მაგარი თავი ექნებოდა. ჰოდა, ეტიენ ჩეკალდის ცხვირი გაუტყდა.

პოლიციელებმა ბოროტმოქმედი ოპერატიულად აიყვანეს (დამალვა ვერ მოასწრო) და დაჰკითხეს კიდეც. დაზარალებული კი სარჩელის შეტანას აპირებს, ვიცე-პრეზიდენტის ცხვირია, რაც არ უნდა იყოს, იმისა ხომ არა...

**გაგა ხუციშვილი**

# ბრაზილიური ფეხბურთი საკომისიოა

*ბრაზილიურ ფეხბურთში არსებული კორუფციის ფაქტების გამოსავლენად შექმნილმა პარლამენტის სპეციალურმა კომისიებმა, სენატისა და ქვედა პალატისამ, გამოძიება დაასრულეს და დასკვნებიც წარმოადგინეს.*

*ამ კომისიების მუშაობა შარშან ოქტომბერში დაიწყო. ეს ბრაზილიურ ფეხბურთში მძვინვარე კორუფციამ და განუკითხაობამ, ასევე ეროვნული ნაკრების მიერ ნაჩვენებმა შედეგებმა განაპირობა. გასარკვევი იყო კომპანია „ნაიკთან“ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის ურთიერთობაც, კერძოდ, ერეოდა თუ არა „ნაიკი“, როგორც ეროვნული გუნდის მთავარი სპონსორი, ნაკრების შიდა სამზარეულოში.*

*ქვემოთ კომისიათა მუშაობის მსვლელობა გავიხსენოთ, რაზეც ადრეც არაერთხელ დაგვიწერია.*



რიკარდო ტეიშეირა კომისიის სხდომაზე ცხრილებით დატვირთული გამოცხადდა

### 2000 წელი

***7 ნოემბერი:*** სენატის კომისია 19 საფეხბურთო აგენტის საქმიანობის გამოძიებას შეუდგა. მათ თაღლითობასა და ყალბი დოკუმენტების შედგენაში ედებოდათ ბრალი.

***9 ნოემბერი:*** სენატის წინაშე ფიფას ყოფილი პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი წარსდგა და ოთხი საათის განმავლობაში პასუხობდა კითხვებს. მას ძირითად ბრალდებად 70-იან წლებში არგენტინულ სამხედრო ხუნტასთან თანამშრომლობა წაუყენეს. აველანჟმა, ცხადია, ყველაფერი უარყო.

***21 ნოემბერი:*** ქვედა პალატის კომისიას ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი (1998 წელი) მარიო ზაგალო წარუდგა. კითხვები ძირითადად მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში რონალდოს თამაშს და „ნაიკის“ ნაკრების წევრებზე ზეწოლას ეხებოდა. ზაგალომ მთლიანად გამორიცხა ის, რომ სპონსორს წნეხის ქვეშ ჰყავდა ეროვნული გუნდი.

***30 ნოემბერი:*** სენატის კომისიის წინაშე ვანდერლეი ლუშემბურგომ იმართლა თავი. მას ფეხბურთელების ტრანსფერებიდან წილის მიღებას, ასევე გადასახადების დამალვას აბრალებდნენ. კომისიის ინფორმაციით, 1995-99 წლებში ლუშემბურგომ 9 მილიონი დოლარი იშოვა, თუმცა ამ თანხის მხოლოდ მცირე ნაწილზეა გადახდილი საშემოსავლო გადასახადი.

***12 დეკემბერი:*** ქვედა პალატის კომისიას 16 წლის ფეხბურთელმა უამბო, თუ როგორ შეჰპირდა ერთ-ერთი აგენტი ბელგიაში კლუბის გამოძებნას და ყალბი პორტუგალიური პასპორტის შოვნას. მისმა ოჯახმა აფერისტ აგენტს 3000 დოლარი გადაუხადა, საბოლოოდ კი ყმაწვილი ბელგიაში ცარიელტარიელი, ულუკმაპუროდ დარჩა.

***13 დეკემბერი:*** ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რიკარდო ტეიშეირამ სენატის კომისიას განუცხადა, „ნაიკთან“ კონტრაქტი მსგავს ხელშეკრულებებს შორის საუკეთესო და ფინანსურად მომგებიანიაო.

### 2001 წელი

***10 იანვარი:*** ქვედა პალატამ 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის მონაწილე რონალდოს მოუსმინა. ფეხბურთელის თქმით, მასზე არანაირი ზეწოლა არ ყოფილა, ფინალში კი იმიტომ ითამაშა, რომ კარგ ფორმაში იყო. არადა, რონალდოს ფინალურ მატჩამდე ერთი საათით ადრე ეპილეფსიური შეტევა დაემართა.

***3 აპრილი:*** პელეს ბიზნესპარტნიორმა ელიო ვიანამ ქვედა პალატის კომისიას განუცხადა, რომ ქაოსური მდგომარეობა ბრაზილიურ ფეხბურთს ყოველწლიურად რამდენიმე მილიონ დოლარს აკარგვინებს.

***4 აპრილი:*** ქვედა პალატის კომისიამ ფირმა „ნაიკის“ წარმომადგენლებს მოუსმინა, რომლებმაც ეროვნული გუნდის შემადგენლობისა და კალენდრის შედგენაში ყოველგვარი ჩარევა უარყვეს.

***5 აპრილი:*** ვანდერლეი ლუშემბურგო ამჯერად ქვედა პალატის კომისიამ დაიბარა. ლუშემბურგოს თქმით, მის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის გახდა, რომ 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე ნაკრებში ვეტერანი რომარიო არ მიიწვია.

ლუშემბურგო მეოთხედფინალში 9-კაციან კამერუნთან წაგების გამო დაითხოვეს.

***10 აპრილი:*** ქვედა პალატის კომისიამ უსიამოვნო კითხვა დაუსვა ფედერაციის პრეზიდენტ რიკარდო ტეიშეირას, ფედერაციის ფინანსური კრიზისის დროს საიდან, როგორ და რაც მთავარია, რატომ აფინანსებთ სხვადასხვა პოლიტიკოსთა კამპანიებს, ცხენსაშენებს, პოლიციელების საფეხბურთო ტურნირებსო.

***9 მაისი:*** სენატის კომისიის გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ ბრაზილიური ფეხბურთი დიდი ხანია, მაფიოზური კლანების ხელშია. ასეა ბრაზილიის ერთ-ერთ უდიდეს შტატ მინას ჟერაისშიც. ადგილობრივი ფედერაციის 66 თანამშრომლიდან 20 პრეზიდენტ ელმერ პარეირას ნათესავია.

***7 ივნისი:*** ქვედა პალატის კომისიამ მუშაობა დაამთავრა. დასკვნაში ტეიშეირა გადასახადების დამალვასა და ფედერაციის კუთვნილი თანხების მითვისებაშია მხილებული, 30 საფეხბურთო აგენტს კი ყალბი დოკუმენტების დამზადება და ტრეფიკინგი დაედო ბრალად.

***12 ივნისი:*** ქვედა პალატის კომისიის ზოგიერთმა წევრმა, რომლებთანაც საფეხბურთო ბოსებს საკმაოდ დიდი ლობი აქვთ, დასკვნა არ მოიწონეს და შესაბამისად, არც ხმა მისცეს. ეს ფაქტი შედარებით შეუმჩნეველი დარჩა, რადგან ამავე დღეს ბრაზილიის ნაკრებს ახალი მწვრთნელი — ლუიშ ფელიპე სკოლარი დაუნიშნეს.

***27 ივნისი:*** ქვედა პალატის გენერალურმა მდივანმა სილვიო ტორესმა განაცხადა, რომ პელეს პარტნიორ ელიო ვიანას გადასახადების დამალვის გამო სასამართლო ემუქრება. ტორესის თქმით, ის მხარს უჭერს კომისიის დასკვნას.

***11 ოქტომბერი:*** „ფლამენგოს“ პრეზიდენტი ედმუნდო სანტოს სილვა სენატის კომისიის წინაშე არ გამოცხადდა. მან თავი იმით იმართლა, სტომატოლოგმა ფრენა და ბევრი ლაპარაკი ამიკრძალაო.

***17 ოქტომბერი:*** სენატის კომისიის თავმჯდომარემ დიასმა განაცხადა, რომ კომისიის წევრების მიმართ ანონიმური მუქარები გაისმა.

***30 ოქტომბერი:*** „ფლამენგოს“ პრეზიდენტი და კლუბის უფროსობა სენატორებმა უკანონო გარიგებებში დაადანაშაულეს.

***31 ოქტომბერი:*** დიასი ტეიშეირას გადადგომას მოითხოვს. მის წინააღმდეგ საკმაოდ ბევრი მასალა დაგროვდა.

***8 ნოემბერი:*** ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშების შესწავლის შემდეგ სენატის კომისიამ მდგომარეობა ასე შეაფასა — სრული ქაოსი.

***4 ნოემბერი:*** სენატის კომისიის საბოლოო დასკვნაში ტეიშეირას ფედერაციის ცუდი მუშაობა, ფედერაციის ხარჯზე საკუთარი კეთილდღეობის მოწყობა, თანხების მითვისება და ფინანსური მაქინაციები ბრალდება. კომისიის გენერალური მდივნის თქმით, 1998-2000 წლებში ტეიშეირა თავადვე იმატებდა ხელფასს. 1998 წელს მან 126000 რიალი (52000 დოლარი) დაინიშნა, 2000 წელს კი — 418000 რიალი (177500 დოლარი) წელიწადში.

***6 დეკემბერი:*** სენატის კომისიის რეკომენდაციით ბრაზილიური ფეხბურთის 16 მაღალჩინოსნის, მათ შორის ტეიშეირას წინააღმდეგ საქმე უნდა აღიძრას.



ვანდერლეი ლუშემბურგოს უკანონო მილიონები დაუთვალეს

**სერგი ჟორჟიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მე-12 ჩემპიონატი. ვაჟები



„გლდანელებმა“ (მუქი ფორმით) მეორე წრეში სამჯერ იმარჯვეს

# გაყინული ტური დასრულდა

**საქართველოს** ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში დასრულებულ ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრეს, სხვა სპორტული ღონისძიებების მსგავსად, ბოლო დროს ჩვენი ყოფისთვის შემოჩვეული არაერთი ხარვეზი ახლდა.

უპირველესი ისაა, რომ მოასპარეზეებს პრაქტიკულად გაყინულ დარბაზში მოუხდათ თამაში. სერიოზული ტრავმების საშიშროებაც ბევრად დიდი იყო, რადგან ასეთ პირობებში მატჩის წინ 15-20 წუთიანი „გახურება“, ცხადია, არ კმარა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა.

საქართველოს ხელბურთის ეროვნულმა ასოციაციამ აზერბაიჯანელი მსაჯები — ვაგიფ ალიევი და ალი აგაქშევი მოიწვია. დასანანია, რომ მეზობელთა პროფესიული დონე სასურველზე დაბალი აღმოჩნდა. მათი გადაწყვეტილებები არცთუ იშვიათად მწვრთნელ-მოთამაშეთა პროტესტს იწვევდა. რას იზამ, როგორც გიჭირდესო, ჩვენში ხომ მსაჯობა თითქმის აღარავის უნდა.

ქვეყნის უცვლელ ჩემპიონ „სტუ-შევარდენს“ (მწვრთნელები ვახტანგ მეიფარიანი და ირაკლი კეკელიძე) ამჯერადაც ვერავინ გაუწია ოდნავი მეტოქეობაც კი. პირველობის დაწყებამდე გუნდს ორი წამყვანი მოთამაშე გამოაკლდა — ძირითადი მეკარე შოთა თევზაძე იუგოსლავიაშია სტაჟირებაზე, ხოლო ერთ-ერთი წამყვანი თავდამსხმელი ალეკო ბოყოჩაძე „გლდანში“ გადავიდა. თუმც ლიდერებს სათადარიგოთა იმდენად გრძელი სკამი აქვთ, რომ ასეთი დანაკლისი არც დასტყობიათ: ტექნიკოსები ყოველ შეხვედრას საშუალოდ 15-ბურთიანი სხვაობით იგებენ.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მამულმა“ (რევაზ ჭანტურია), „გლდანთან“ ერთი შეხედვით მოულოდნელი მარცხის მიუხედავად, სატურნირო ცხრილში მეორე პოზიცია კი შეინარჩუნა, მაგრამ დარჩენილ სამ ტურში, რომლებიც გაზაფხულზე გაიმართება, ვიცე-ჩემპიონობისთვის ცხარე ბრძოლის გადატანა მოუწევს.

„თბილისმა“ (ელიზბარ არსენაშვილი, მამუკა მჟავანაძე), პირველი წრის მსგავსად, ახლაც ცხრა ქულა მოიპოვა და ისევ მესამე ადგილზეა, თუმც დასკვნით შეხვედრაში დიდ წინააღმდეგობას წააწყდა ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის გუნდისგან. უფრო გამოცდილმა თბილისელებმა მხოლოდ ბოლო წუთზე შეძლეს „მართვეს“ (ბექა ორჯონიკიძე, იაგო ჩხაიძე) კარში გადამწყვეტი გოლის გატანა.

ახლა დებიუტანტებზე. ორი ახალი გუნდის შექმნით, თქმა არ უნდა, ჩინებული საქმე გაკეთდა. ამით ხომ ოცდაათამდე უქმად მყოფი ხელბურთელი დასაქმდა. თანაც მონაწილეთა რაოდენობის გაზრდით ეროვნულ პირველობას სოლიდური სახე მიეცა. „გლდანში“ (ლევან აბესაძე, მერაბ მეტრეველი) გაერთიანდნენ მოთამაშეები იმ რეგიონებიდან, სადაც დამოუკიდებელი გუნდის შექმნა ვერ ხერხდება უფულობისა თუ სხვა მიზეზთა გამო — ექვსი ქუთაისელია, სამ-სამი ფოთელი და თელაველი. გლდანელები მეორე წრის წინ ბევრად გაძლიერდნენ მათთან ასევე ქუთაისელ ბოყოჩაძის გადასვლით. ასეთი მაღალი დონის ოსტატის გვერდით თამაში გამოუცდელ ჭაბუკებს, ბუნებრივია, წინსვლაში ძალიან დაეხმარება.

„ცეროს“ (ჯიმშერ დვალიშვილი) მთავარი შემტევი ძალა ვეტერანი ზვიად შათირიშვილია. იგი 1995 წელს საქართველოს საუკეთესო ბომბარდირი იყო. ზვიადი ახლაც გამოირჩევა შედეგიანობით და 116 ბურთით სათავეში უდგას გოლეადორთა სიას. მისმა უახლოესმა მდევარმა გიორგი ქობელაშვილმა („სტუ-შევარდენი“) 29-ით ნაკლები გაიტანა.

ასეა თუ ისე, „გაყინული ტური“ ჩათავდა და ხელბურთელებიც თითქმის ოთხთვიან შვებულებაში გაუშვეს, თუმც ყველა არა. მომავალ კვირას საქართველოს ნაკრების კანდიდატები სამსოფლიოსჩემპიონატო სამზადისს შეუდგებიან. ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელ ზაზა დოლიძეს წლევანდელ პირველობაზე რამდენიმე იმედისმომცემი ახალგაზრდა მოსწონებია და ზოგიერთს ალბათ სანაკრებო შეკრებაზეც ვიხილავთ ჩვენს ექვს ევროპელ ლეგიონერსა და სხვა გამოცდილ მოთამაშეებთან ერთად.

**გია ახალაძე**

7 დეკემბერი

**სტუ-შევარდენი 35:18 საუ-მამული**

**თბილისი 35:34 მართვე**

**გლდანი 47:43 ცერო**

| ვითარება ორი წრის შემდეგ | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 10 | 10 | 0 | 0 | 367:221 | 30 |
| საუ-მამული | 10 | 7 | 0 | 3 | 284:275 | 21 |
| თბილისი | 10 | 6 | 0 | 4 | 284:290 | 18 |
| გლდანი | 10 | 4 | 0 | 6 | 258:306 | 12 |
| მართვე | 10 | 3 | 0 | 7 | 300:314 | 9 |
| ცერო | 10 | 0 | 0 | 10 | 275:362 | 0 |

საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი

ლოკომოტივი — დათვები

# გზა ბზისკენ

## თასი ზღვისკენ თუ რკინიგზისკენ?

**ხვალ** საქართველოს ჩემპიონატის ფინალია. ბზის თასის მოსაპოვებლად ბათუმის „დათვები“ და თბილისის „ლოკომოტივი“ შეიბმებიან. თითქოს საგანგებოდო, ჩემპიონატი ამ ორი „მარადი მოშუღარის“ ჯახით სრულდება. მათ დაპირისპირებას კი მუდამ ახლავს ქომაგისთვის სასურველი ის ინტრიგა, სტადიონისკენ რომ უხმობს რაგბის მცოდნეთ და მოყვარულთ. ჰოდა, ნამდვილად იქნება ლამაზი ლელოები, ჩინებული კომბინაციები, მრავალფეროვნება, მოულოდნელობა... იქნება ჩხუბიც, აყალმაყალიც. ამასაც შეგვაჩვია ზღვისპირელთა და თბილისელთა დაპირისპირებამ.

ცხადია, ვიცე-ჩემპიონი „ყოჩებიც“ დაამშვენებდა ფინალს, მაგრამ „დათვებმა“ ამირან თეზელაშვილის შეგირდები ნახევარფინალში ჩამოაშორეს პირველობისთვის ბრძოლას.

ლევან მგელაძის „დათვები“ საქართველოს პირველი გუნდის წოდებას უკვე ფლობდნენ. შარშანწინ მათ „ყოჩებს“ აჯობეს საჩემპიონო მარათონში. შარშანაც რიხით დაიწყეს, მაგრამ ფინიშისკენ ძალები ველარ გათვალეს და მეოთხე ადგილს დასჯერდნენ. თუმც სამართლიანობა მოითხოვს გავიხსენოთ, რომ „დათვებმა“ ბრინჯაოს მედლები ასკ-ს უბრძოლველად დაუთმეს. მანამდე ზღვისპირელებმა ახალდაწესებული საქართველოს თასის ფინალში წააგეს რკინიგზელებთან. არადა, ამბიციაც იყო, სოლიდური შემადგენლობაც, ფულიც საკმაო, ახალი მთავარი მწვრთნელიც. ეს თითქოს წარმატების საწინდარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდა, რომ თასისთვის და ზედიზედ მეორედ გაჩემპიონებისთვის „დათვები“ მზად არ იყვნენ.

ზღვისპირელები სწორედ ახლა არიან საუკეთესო ფორმაში. გუნდი ტრიუმფისთვის ემზადება. ლევან მგელაძემ თითქმის მთლიანად გადაახალისა შარშანდელი შემადგენლობა. შუა სეზონში „დათვებს“ ლიდერი კახა მაჩიტიძე გამოაკლდა. მან საფრანგეთს მიაშურა უკეთესი ბედის საძიებლად. მაგრამ მგელაძემ მაინც შეძლო ბრძოლისუნარიანი კოლექტივის შექმნა. პლეი ოფის წინ რაგბიში დაბრუნებული ექსბორჯღალოსანი კახა კობახიძე დაიმატა და „დათვები“ საჩემპიონოდ გაამზადა. ზღვისპირელები ახლა დუბლის შესრულებას ეშურებიან. ბათუმურმა კლუბმა ხომ წელს სწორედ „ლოკომოტივს“ აცალა ცხვირწინ საქართველოს თასი.

ესეც გავიხსენოთ. ქუთაისში დანიშნულ თასის ფინალზე „ლოკომოტივი“ მიზეზთა გამო არ გამოცხადდა. „ტორპედოს“ სტადიონზე მხოლოდ „დათვები“ მივიდა. შესაბამისად, ფინალური მატჩი არ შედგა. რაგბის კავშირის დიდი მცდელობის მიუხედავად, „დათვების“ ხელმძღვანელობა არ დაყაბულდა ფინალის გადათამაშებაზე და კავშირიც იძულებული გახდა, თასი ზღვისპირელებისთვის გადაეცა. ასე რომ, ერთი ჯილდო ბათუმელებმა უკვე მოიპოვეს, ახლა კი ჩემპიონობისთვისაც იბრძოლებენ.

„ლოკომოტივის“ მწვრთნელ თემურ ბენდიაშვილს ოპტიმალური შემადგენლობის შერჩევა არ უნდა გაუჭირდეს. თანაც რკინიგზელებს ბორჯღალოსანთა გარემარბი ვასილ აბაშიძე დაემატათ. დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა „ლოკომოტივის“ დირიჟორ ბობა კვინიხიძესაც. უკვე მესამე დღეა, თბილისელი მორაგბეები მატჩისწინა შეკრებაზე არიან. ისინი საგულდაგულოდ ემზადებიან ამ უმნიშვნელოვანესი და უპრინციპულესი მატჩისთვის. რკინიგზელებს საკუთარი მოედნის ფაქტორიც უმაგრებთ ზურგს. არადა, რომ არა „დათვების“ ემოციური მწვრთნელი ლევან მგელაძე, ფინალი ბათუმში გაიმართებოდა.

ზღვისპირელებმა ნახევარფინალში დაამარცხეს „ლოკომოტივი“, დიდ ფინალშიც გავიდნენ და მისი მასპინძლობის უფლებაც მოიპოვეს, მაგრამ დისციპლინო კომიტეტის სხდომამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. საქმე ის იყო, რომ დისკვალიფიცირებულ ლევან მგელაძეს მატჩის მსვლელობაში ჩარევის უფლება არ ჰქონდა, მან [illegible] თავი ვერ მოთოკა და აქტიურად ხაერია მატჩში, თანაც ერთ-ორჯერ მსაჯებსაც შემოსწყრა. მწვრთნელს დებულების დარღვევა არ ეპატია, „დათვებს“ კი წაგება ჩაეთვალა. ფინალური შეხვედრის მასპინძლობის უფლებაც „ლოკომოტივს“ ერგო. „დათვებმა“ „აიას“ მძლეველ „ყოჩებთან“ დაიჭირეს საქმე და მათი დამარცხებით მაინც გაიკვლიეს გზა ფინალისკენ, რომელსაც ფრანგი მთავარი მსაჯი მოემსახურება. ვალენ ლორანი ხვალ დილით ესტუმრება თბილისს. მისი მივლინების ხარჯებს რაგბის კავშირი გაიღებს. ფრანგი მსაჯის ჩამოყვანა იმიტომ გახდა საჭირო, რომ მისმა ქართველმა კოლეგებმა იუარეს მატჩის გაძღოლა. მიზეზი ძველი და ცნობილია. არ ყოფილა მატჩი, რომელიმე გუნდი მსაჯის მოქმედებით კმაყოფილი დარჩენილიყო. ჩემპიონატის მთელმა სიმძიმემ ერთ კაცზე, ნოდარ რობიტაშვილზე გადაიარა, რომელსაც ხშირად უხდებოდა გინების მოსმენა, ცემასაც რამდენჯერმე გადაურჩა. ბოლოს და ბოლოს, მასაც უმტყუნა ნერვებმა და ფინალში მსაჯობაზე მტკიცე უარი განაცხადა.

უცხოელს ქართული თამაში ადრეც უმსაჯია. რამდენიმე წლის წინ რაგბის კავშირმა საპლეიოფოდ ფრანგი არბიტრი მოიწვია. ჯერჯერობით უცნობია, სად გაიმართება მატჩი. „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობას გუშინ გვიან ღამემდე კავშირის მესვეურთათვის კონკრეტული არაფერი უთქვამს. სავარაუდოდ, ფინალი ვარკეთილის მეურნეობის სარაგბო მოედანზე ან ვაკეში „ლოკომოტივზე“ გაიმართება. სამ საათზე დაწყება კი უეჭველია.

მატჩის ბედს ალბათ ეგრეთ წოდებული საშემსრულებლო ოსტატობა გადაწყვეტს. არა მგონია, უცხო და განსაკუთრებული შესთავაზონ დღეს ერთმანეთს მეტოქეებმა.

„დათვების“ მთავარი მწვრთნელის ლევან მგელაძის მატჩისწინა კომენტარი ასეთია: „რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, ფინალი ბათუმში გამართულიყო, მაგრამ სადისციპლინო კომიტეტმა სხვანაირად გადაწყვიტა და რაღა გაეწყობა. ოპტიმალური შემადგენლობით ჩამოვალთ თბილისში და გამარჯვების იმედიც გვაქვს. დანარჩენს მატჩი გვიჩვენებს“.

„ტრავმირებული არავინ გვყავს. ყველა სრულ მზადყოფნაშია, გუნდში საბრძოლო განწყობაა და იმედიანად ვართ. ძალიან ძნელი მატჩი იქნება. ჩვენ ჩვენსას ვეცდებით. დანარჩენი თამაშზეა, ისე კი, მჯერა, ჩვენ გავიმარჯვებთ“ — ეს „ლოკომოტივის მთავარი მწვრთნელის თემურ ბენდიაშვილის სიტყვებია.

**ბაჩო სვანიძე**



ჩემპიონის ბზის თასი



ეს ხვალაც იქნება: ირაკლი სვანიძე და გიორგი კახიანი ბურთს კვლავაც შეეჭიდებიან ერთმანეთს

# ებრაელები თურქულ ჭიაკოკონას გადაახტნენ

## ქართველებს ისევ არ ენდობიან

**მას მერე,** რაც ევროლიგის 1999-2000 წლების სეზონში „ეფესმა" სტამბოლში პოდგორიცას „ბუდუჩნოსტი" დაამარცხა, ევროთასებზე მომდევნო 25 შინაური მატჩი აღარ წაუგია. ვინ არ ყოფილა სტამბოლელთა სტუმარი, თვით თელ ავივის „მაკაბიც", რომელიც შარშან ეწვია სტამბოლს, მაგრამ სუპროლიგის მომავალმა ჩემპიონმა მაშინ ვერ შეძლო „ეფესის" წამოქცევა. ხუთშაბათს კი ებრაელებმა ორწლიანი შინაური მყუდროება დაურღვიეს თავმომწონე თურქებს.

გადაჭედილ „აბდი იპეკჩი ჰოლში" 6 დეკემბერსაც, როგორც ყოველთვის, თურქული ქომაგობის დიდი ჭიაკოკონა დაენთო. ფანობა ჩვეულად გვერდში ედგა ეფესელებს, რომლებმაც საწყის წუთებში საულიუს შტომბერგასის წყალობით „მაკაბი" ჩამოიტოვეს. სტუმრები ყიჟინას არ დაუბნევია და პირველი ათწუთეულის მიწურულს ამ მატჩის საუკეთესო მოთამაშის, ნათანიელ ჰაფმანის ძალისხმევით თურქებს წამოეწივნენ — 19:21.

მეორე მეოთხედი თანაბარ ბრძოლაში გაილია და პირველი ნახევრის ბოლოს ეს ანგარიშშიც აისახა — 34:34. დიდი შესვენების შემდეგ კი ებრაული კლუბი მასპინძელთა რბევას შეუდგა. მათი თამაშის ფორმულა მარტივი იყო: გაუვალი დაცვა და ნათანიელ ჰაფმანი. ებრაელებმა ხუთი წუთი საკუთარი კალათი მშრალად შეინახეს, თავიანთი ლიდერის მეოხებით კი 10 ქულა მოინაგრეს. საქმე თითქოს მოთავებული ჩანდა, „მაკაბი" უკანასკნელი მეოთხედის წინ 15 ქულას იგებდა, მაგრამ სტამბოლელებს არ სურდათ საამაყო ტრადიციის დარღვევა და თავგანწირვით გაიბრძოლეს. მარკუს ბრაუნმა თანაგუნდელები აიყოლია, დროის ერთი მონაკვეთი 13:8 მოაგებინა და თავის გუნდს წარმატების შანსი უბოძა. მასპინძლები მეტოქეს წამოეწივნენ და ომერ ონანს საჯარიმო ხაზიდან ანგარიშის გათანაბრების შანსი მიეცა. მან მხოლოდ ერთი ჩააგდო — 68:69. ბოლო წუთზე ტალ ბურშტეინმა ორჯერ გააცუდა სროლა, თუმც მისი აცილებული ჰაფმანმა მოხსნა და „მაკაბის" ბოლო ქულებიც მან მიითვალა.



ეფესი — მაკაბი. მაკაბელი ნათანიელ ჰაფმანმა (მარცხნივ) მარკუს ბრაუნსაც აჯობა და მის „ეფესსაც"

REUTERS სტამბოლიდან

თავისებურად ვერც „კინდერმა" გაილაღა. ბოლონიელებს ევროლიგაში აქამდე გამართულ ექვსივე შეხვედრაში ემარჯვათ და ფრანკფურტშიც მოსაგებად ჩავიდნენ, თუმცა იქ „სკაილაინერზის" სახით დაბალი ლობე არ დახვედრიათ. ეს გუნდი წლევანდელი სეზონის აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს, იგი ტოლ-სწორად ეპაექრება ევროპის გრანდებს და B ჯგუფის ლიდერთა შორისაა.

„ძალიან ვამაყობ ჩემი გუნდით. ჩინებულად ვითამაშეთ დაცვაში, ხოლო შეტევაში გორეე და ოსტინი შეუდარებელი იყვნენ. მაგრამ გამარჯვების მთავარი ფაქტორი საკუთარი ძალების რწმენაა" — განაცხადა მატჩის შემდეგ გერმანელთა დამრიგებელმა გორდონ ჰერბერტმა.

ფრანკფურტელებმა გამარჯვების მართლაც შესაშური ჟინი გამოამჟღავნეს. მას შემდეგ, რაც მარკუს გორეეს სწრაფი პირველი შეტევებისა და პასკალ როლერის ზუსტად და მიყოლებით შესრულებული სამი სამქულიანის შემდეგ 52:38 დაწინაურდნენ, „კინდერმა" მოახერხა თავისი თამაშის პოვნა, დროის ექვსწუთიანი მონაკვეთი 20:6 მოიგო და მასპინძელთა 14-ქულიანი უპირატესობა გააქრო. ბევრი გუნდისთვის ასეთი შემთხვევა ეგებ წაგების ტოლფასი ყოფილიყო, მაგრამ არა „სკაილაინერზისთვის". მატჩის ბოლო წუთზე წინ ხან ერთი იყო, ხან მეორე, საბოლოოდ კი თავისიანებს გორეემ გაამარჯვებინა — 80:79.

მადრიდში „რეალის" დამარცხებით „პანათინაიკოსმა" დაამტკიცა, რომ „კრკასთან" წაგება შემთხვევითობა იყო და მეტი არაფერი. ესპანელთა დამაქცეველი მათი ყოფილი თანაგუნდელი დეიან ბოდიროგა გახდა. იგი დამირ მულაომეროვიჩთან ერთად სასტიკად აწიოკებდა მადრიდელთა დაცვას. მულაომეროვიჩს მადრიდელებმა მატჩის დასაწყისშივე ვერ მოუხერხეს ვერაფერი. ხორვატმა გამთამაშებელმა პირველ 10 წუთში 13 ქულა მიითვალა და „პანათინაიკოსს" სოლიდური ლიდერობა დაუბევა. „რეალი" იოლად დანებებას არ აპირებდა. ჟან ხაუმინმა გამოზომილი პასებით წახდენილი საქმე გამოასწორა და ერთხანს ესპანელები წინაც გავიდნენ — 34:31, მაგრამ კვლავ იძალა ბოდიროგა-მულაომეროვიჩის ტანდემმა და მათ დამრიგებელს ჟელკო ობრადოვიჩს თავის ყოფილ სამწყსოზე გაამარჯვებინა.

ხშირად ასე ხდება: როცა მადრიდული კლუბი აგებს, „ბარსელონა" იმარჯვებს, ანაც პირიქით. ასე იყო ამჯერადაც. მოსისხლე მტრის დამარცხების ამბავმა ბარსელონელები იმტაზე მოიყვანა და ლიუბლიანის „ოლიმპიასთან" 81:61 გამარჯვებითაც გაიხარეს. სლოვენიელთა ამ სირცხვილში წილი არ უდევს ჩვენებურ ვლადიმერ ბოისას, მწვრთნელმა ზმაგო საგადინმა ტრადიციას არ უღალატა და ქართველი გუნდის ქომაგობით დააკმაყოფილა.

ზაზა ფაჩულიას „ულქერიც" სტუმრად თამაშობდა. სტამბოლელები მეზობელ საბერძნეთს ესტუმრნენ და იქაურ „პერისტერს" შეებნენ. ამ მატჩში ფაჩულიამ უკანასკნელი 6 წამი ითამაშა. ფაქტია, ევროლიგაში ქართველებს გასვლებზე არ ენდობიან.

82:95 თურქი სტუმრების იოლ გასეირნებაზე მეტყველებს, თუმც ბოლო მეოთხედამდე ჯერაც გაურკვევლობა იყო — 66:66. უკანასკნელი ათი წუთი კი ჰარუნ ერდენაის ბენეფისად გადაიქცა. თურქი გამთამაშებელი მატჩის ბოლოს საოცრებებს სჩადიოდა, ყველა წერტილიდან ჩააგდო, საიდანაც კი შეუტია. ერდენაიმ 34 ქულიდან 20 ბოლო 10 წუთში მიითვალა, რაც საკმარისზე მეტი აღმოჩნდა პერისტერელთა გასატეხად.

**ირაკლი ბერტაია**



პერისტერი — ულქერი. ბებერმა თურქმა ჰარუნ ერდენაიმ ახალგაზრდა ბერძნებს შავი დღე აყარა

## ევროლიგა

Euroleague

პირველი ჯგუფური ეტაპი. VII ტური. 5-6 დეკემბერი

### A ჯგუფი

**შლიონსკი 58:63 უნიკახა**

შლიონსკი: ჰოკინსი (8), ზიელინსკი (15), ადომაიტისი (6), ფეტისოვი (4), ეინიკისი (7), რაიტი (7), ტომჩიკი (11)

უნიკახა: კაბესასი (7), ბ. როდრიგესი (2), მრშიჩი (11), აბრამსი (1), კორნგაი (1), სოწკო (18), ვეისი (5), ფილიპი (9), ვასკესი (6), გუროვიჩი (3)

**ოლიმპიაკოსი 87:91 ბენეტონი**

ოლიმპიაკოსი: პაპალუკასი (12), პაპანიკოლაუ (3), ამანატიდისი (6), რიზაშე (8), ფორდი (31), ტომიჩი (5), ი. ფორესტი (8), დე მიგელი (14)

ბენეტონი: ნიკოლა (9), იდნი (23), სტოიჩი (4), პიტისი (5), მარკონატო (14), ბულერი (6), ჩიკალკინი (12), ტომიდი (2), ნახბარი (4), გარბახოსა (12)

**ალბა 99:87 შარლერუა**

ალბა: როდლი (9), ი. ლუტკე (3), შულცე (14), პეშიჩი (19), ფელპსი (24), ოზთურქი (2), კოტუროვიჩი (5), გარისი (2), ალექსისი (21)

შარლერუა: ელისი (11), როუვი (12), დესი (4), ჯეროში (16), ვან დე ვონდელი (2), პიუგინსი (15), ვუიჩი, სტასი (7), პოტერი (20), ენგელანტი

**ეფესი 68:72 მაკაბი**

ეფესი: ბრაუნი (10), ონანი (11), შტომბერგასი (15), ვექილოღლუ (6), თუნჩერი (3), ოქური (16), პეკერი, კამბალა (7)

მაკაბი: შენფელდი (1), ბრისკერი (7), შარფი (10), ჰაფმანი (17), პარკერი (12), ბურშტეინი (7), საფარი (7), მაკდონალდი (9), ბეშოქი (2)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 7 | 5 | 2 | 611:590 | 12 |
| მაკაბი | 7 | 5 | 2 | 536:500 | 12 |
| ოლიმპიაკოსი | 7 | 4 | 3 | 622:553 | 11 |
| უნიკახა | 7 | 4 | 3 | 536:539 | 11 |
| ეფესი | 7 | 4 | 3 | 534:533 | 11 |
| ალბა | 7 | 3 | 4 | 553:568 | 10 |
| შლიონსკი | 7 | 2 | 5 | 497:524 | 9 |
| შარლერუა | 7 | 1 | 6 | 506:588 | 8 |

### B ჯგუფი

**ბარსელონა 81:61 ოლიმპია**

ბარსელონა: ი. როდრიგესი (1), ალსამორა (3), დე ლა ფუენტე (8), ეკონომუ, ოკულაია (11), დიგბე (8), ნავარო (17), დუენიასი (11), იასიკევიჩუსი (16), რენციასი, კარნიშოვასი (6)

ოლიმპია: ველში (13), გოლემაცი (2), ილიევსკი (3), მოდრიჩი, უდრიში (4), ზდოვცი, ავოჯობი (18), სტეფანოვი (3), მუეძინოვიჩი (14), პუკიჩი (2), ნიჩევიჩი (2)

**სკაილაინერზი 80:79 კინდერი**

სკაილაინერზი: სტანესკუ (8), დიარა, ნიურბერგერი (12), გორეე (22), როლერი (18), ოსტინი (18), მარასი (2), ლოხმანჩუკი

კინდერი: ჯინობილი (15), აბიო (1), ბეჩიროვიჩი (3), ფროზინი (2), დ. ანდერსენი (10), რიგოდო (3), გრიფიტი (12), სმოდიში (15), იარიჩი (18)

**პერისტერი 82:95 ულქერი**

პერისტერი: დიქინსი (20), პაპამაკარიოსი (5), პაპადატოსი (2), პელეკანოსი (9), პადაზოპულოსი (15), ვოიჩიკი (10), ცარცარისი (11), მ. ანდერსენი (10), ეფტიმიუ

ულქერი: ლოლისი (11), ფარსი (5), აბი, შტელმახერსი (5), გოლიოვიჩი (12), ერდენაი (34), ელი (16), აჩიკი (10), ფაჩულია, ილდირიმი (2), გიულერი

**ლონდონ თაუერზი 58:81 ჟალგირისი**

ლონდონ თაუერზი: ბეიკერი, ეფპაიმერი (12), ჩუნგი (3), ვაიტი (7), იონგბლადი, მაიერსი (12), ჰიკი (8), კენტი (6), რობინსი (10)

ჟალგირისი: გინევიჩუსი (5), ხიჟნიაკი (15), გუდბერი (14), სალენგა (12), თ. მასიულისი (16), სლანინა (15), ა. მასიულისი (4)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კინდერი | 7 | 6 | 1 | 589:464 | 13 |
| ბარსელონა | 7 | 5 | 2 | 587:527 | 12 |
| სკაილაინერზი | 7 | 5 | 2 | 512:537 | 12 |
| ულქერი | 7 | 4 | 3 | 566:517 | 11 |
| ოლიმპია | 7 | 4 | 3 | 534:495 | 11 |
| პერისტერი | 7 | 2 | 5 | 558:585 | 9 |
| ჟალგირისი | 7 | 2 | 5 | 520:560 | 9 |
| ლონდონი | 7 | 0 | 7 | 451:632 | 7 |

### C ჯგუფი

**კრკა 84:93 პო ორტეზი**

კრკა: ანზულოვიჩი (7), გნიდიჩი (22), სკულინი (19), ლაკოვიჩი (6), იელესიევიჩი (8), დ. ბინეტი (4), გრუში (16), დრობნიაკი (2), ჩაპინი, სამანიჩი

პო ორტეზი: ფოტუ (13), ლუკოვსკი (20), მ. პიეტრუსი (2), დროზდოვი, ქსტელერი (19), გადუ (5), ფ. პიეტრუსი (2), ლუისი (10), დიავი (1), მილინგი (2), სელერსი (19)

**სკიპერი 97:99 ცსკა**

სკიპერი: ბაზილე (16), ფუჩა (26), ვეტომოვი (2), სავიჩი (7), მენეგინი (18), მილიჩი (4), კოვაჩიჩი (2), გალანდა (9), პილუტი (8), მილოსერდოვი (5)

ცსკა: მაკენტსი (22), მორგუნოვი (6), გირიჩეკი (23), პაშუტინი (15), მიგლინიეკსი, დომანი (7), პეტრენკო (26)

**რეალი 70:78 პანათინაიკოსი**

რეალი: ა. ანგულო (3), სტრიულენსი (3), ჯორჯევიჩი (20), ლ. ანგულო (7), დუშან ვუკჩევიჩი (7), ტაბაკი (2), ერეროსი (13), ტარლაჩი (6), იტურბე (4), ხაუმინი (5)

პანათინაიკოსი: ალვერტისი (5), სანჩესი, სიუტისი, ჯ. როჯერსი (6), მულაომეროვიჩი (26), ბოდიროგა (27), დ. მიდლტონი (9), ალბანო (3), პაპადოპულოსი (2)

**ზადარი 88:79 ბუდუჩნოსტი**

ზადარი: ვლადოვიჩი (1), რობინსონი (12), პერინჩიჩი (20), მარცელიჩი (25), რუჟიჩი (9), ოდუკი (13), გრგატი (8)

ბუდუჩნოსტი: ბაკიჩი, სმილიანიჩი (10), რადონიჩი (7), რაკოჩევიჩი (22), შეკულიცი, დრაგან ვუკჩევიჩი (1), რადუნოვიჩი, კუზმანოვიჩი (5), მილოევიჩი (6), ჩაბარკაპა (7), იესტრატიევიჩი (21)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 7 | 6 | 1 | 603:520 | 13 |
| რეალი | 7 | 5 | 2 | 591:555 | 12 |
| ცსკა | 7 | 4 | 3 | 623:596 | 11 |
| პო ორტეზი | 7 | 4 | 3 | 587:576 | 11 |
| სკიპერი | 7 | 3 | 4 | 622:611 | 10 |
| კრკა | 7 | 2 | 5 | 596:618 | 9 |
| ზადარი | 7 | 2 | 5 | 556:621 | 9 |
| ბუდუჩნოსტი | 7 | 2 | 5 | 551:632 | 9 |

### D ჯგუფი

**ტაუ 112:84 ურალ გრეიტი**

ტაუ: სკოლა (28), ნოჩიონი (11), ბენეტი (12), ვიდალი (10), ტიმინსკასი (10), ტომაშევიჩი (23), ობერტო (12), კორჩიანი (6)

ურალ გრეიტი: შუმაკოვი, ბაშმინოვი (3), პანოვი (5), კარასიოვი (19), შეიკო (2), მიხაილოვი (10), პეგუშინი, ავლეევი (19), დაინეკო (13), პეტრაიტისი, ბოუი (13)

**სკავოლინი 86:75 ოსტენდე**

სკავოლინი: ბერიჩი (13), ბუკერი (24), გიგენა (6), ლ. მიდლტონი, პეჩილე (5), ტრაინა (17), ტუშეკი (6), ბლერი (15), პანიჩი

ოსტენდე: მაიორი, ვან პაასენი (6), ბეგინი (19), ჩიზმიჩი, გედრაიტისი (9), ბიგსი (12), მენამა (2), კოტა (6), პრაშკევიჩუსი (21)

**ვილერბანი 78:91 პარტიზანი**

ვილერბანი: რადულოვიჩი (10), სი, ვუიჩიჩი (14), ბონატო (12), მრაზეკი (7), პეტროვი (4), პილი (11), ნეესი (8), ფრიგუ (7), სელესტენდი (5)

პარტიზანი: შჩეპანოვიჩი (31), პეტროვიჩი (4), ნადფეი (2), ოსტოიჩი (10), სტანოევიჩი (14), მატერიჩი (5), კრსტიჩი (4), ავდალოვიჩი (8), ჩანაკი (13)

**აეკ 72:69 ციბონა**

აეკ: ჰოლდენი (15), პანტელიადისი, ზისისი (2), კომაზეცი (7), ხაძისი (1), კიკიდიასი, დიკუდისი (30), ბილბა, პასხალისი, კაკიუზისი (15), ანტიჩი (2)

ციბონა: ლონგინი (5), კუში, სესარი (15), პრკაჩინი (9), ბოუმენი (11), პლანინიჩი, რაჯა (10), მაზე (2), მამიჩი, ფრიმენი (8), ჯიდიჩი (3), ოკუნსკი (6)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 7 | 5 | 2 | 599:540 | 12 |
| ურალ გრეიტი | 7 | 5 | 2 | 593:580 | 12 |
| პარტიზანი | 7 | 5 | 2 | 566:577 | 12 |
| ტაუ | 7 | 4 | 3 | 633:558 | 11 |
| სკავოლინი | 7 | 4 | 3 | 558:555 | 11 |
| ვილერბანი | 7 | 3 | 4 | 536:567 | 10 |
| ციბონა | 7 | 2 | 5 | 537:579 | 9 |
| ოსტენდე | 7 | 0 | 7 | 537:603 | 7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი



ნბა-ში ბარე ბევრი ისურვებდა, მაიკლ ჯორდანი კალათბურთიდან გოლფში წასულიყო

# მაიკლ! რა ჯანდაბა გინდა კალათბურთში?!

## უბრალო მოკვდავნი ღმერთკაცს გოლფის თამაშს შესთხოვენ

6 დეკემბერი

**ჰიუსტონი 82:85 ვაშინგტონი**

ჰიუსტონი: მობლი (25)
ვაშინგტონი: ჰამილტონი (26), ჯორდანი (18)

**მილუოკი 95:89 ტორონტო**

მილუოკი: ალენი (30), კასელი (23)
ტორონტო: კარტერი (26), კლერკი (18), ვილიამსი (16)

**პორტლენდი 89:95 შარლოტი**

პორტლენდი: ვოლესი (18)
შარლოტი: ნეილორი (26), დევისი (22 ქულა, 12 პასი), ვესლი (18)

**მემფისი 80:105 მინესოტა**

მემფისი: გასოლი (22 ქულა, 11 მოხსნა)
მინესოტა: ბრენდონი (22 ქულა, 10 პასი), გარნეტი (20 ქულა, 15 მოხსნა)

სამშაბათს „სან ანტონიო“ — „ვაშინგტონის“ სანახავად „ალამოდოუმში“ წლევანდელ სეზონში სარეკორდოდ ბევრმა, 35 ათასმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი. ხალხს მაიკლ ჯორდანის ხილვა ეწადა, თუმც გულშემატკივრებს იმედი გაუცრუვდათ. მაიკლს მუხლი წამოსტკივებია და 1993 წლის შემდეგ პირველად გააცდინა თამაში.

საბოლოოდ ტეხასში მაინც იხილეს ჯორდანი, ოღონდ არა სან ანტონიოში, არამედ მეზობელ ჰიუსტონში. ყველა დროის უძლიერესი კალათბურთელის ტრიბუნიდან ცქერას, აბა, რა სჯობს და 16717-მა ჰიუსტონელმაც უთუოდ ისიამოვნა, თუმც მედალს მეორე მხარეც აქვს — საყვარელი გუნდი რომ დაიჩოქებს, როგორი სანახავია?

„ის ჯერაც დიადი მოთამაშეა. (ვაშინგტონზე) ცოტა უკეთეს გუნდს საუკეთესოს გახდიდა. ვერ ვხვდები, რატომ დაბრუნდა კალათბურთში, სადაც მისთვის შეუძლებელი არაფერია და არც მიზანი არსებობს, რისთვისაც ღირს ბრძოლა. ის შესანიშნავად თამაშობს გოლფს, კარგია ბეისბოლში, ვერ გამიგია, რა ჯანდაბას აკეთებს ჩვენთან“ — ამბობდა აღფრთოვანებანარევი ბრაზით „ჰიუსტონის“ მწვრთნელი რუდი ტომიანოვიჩი.

არადა, ჯორდანს სასწაული არ ჩაუდენია, პირიქით, მატჩის ძირითად ნაწილში თავი ვერაფრით გამოიჩინა, პირველ სამ მეოთხედში რვა ქულა ჩააგდო და თუ იმ დღეს „ვაშინგტონი“ მასპინძლებს თავიდანვე არაფერს უთმობდა, უფრო სხვათა მეცადინეობით.

გადამწყვეტ, მეოთხე მეოთხედში მასპინძლებმა ორქულიანი ჩამორჩენით და შესამჩნევი სათამაშო უპირატესობით შეაბიჯეს. ჯორდანისგან განსაკუთრებული საფრთხე არ მოდიოდა და ტომიანოვიჩის შეგირდებმა მეოთხედის დასაწყისში შტურმი მიიტანეს სტუმართა კალათზე. ჯორდანიც სწორედ მაშინ ჩაერია საქმეში, როდესაც თანაგუნდელებს სიძაბუნე შეატყო და საფრთხე იყნოსა. მან ხუთჯერ ჩააგდო ერთიმეორეზე ლამაზი ბურთები, ამასთან მნიშვნელოვან სიტუაციაში და გავეშებული მასპინძლები იძულებით დააოკა.

„ხუთი დღეა, ბურთი ხელში არ მჭერია და თამაშის რიტმი რომ მეპოვა, სამი მეოთხედი დამჭირდა“ — თქვა მაიკლმა ნამატჩევს. „ვაშინგტონმა“ სეზონში მეექვსედ მოიგო და აღმოსავლეთ კონფერენციის ცხრილის მე-12 საფეხურზე „ატლანტა“ შეცვალა.

სხვათა შორის, ჯორდანი 23-ედ თამაშობდა „ჰიუსტონის“ წინააღმდეგ და მხოლოდ მეთერთმეტედ მოიგო.

ზედიზედ ხუთი მარცხის შემდეგ იხეირა „მილუოკი ბაქსმა“, ვისაც 6 დეკემბერს ცხრილის მეზობელ, ღონიერ „ტორონტოსთან“ მოუწია შებმა. მილუოკელებმა მთავარი მწვრთნელის გარეშე გატეხეს ნავსი. მათ თავკაცს, ჯორჯ კარლს, რამდენიმე დღის წინ 95 წლის მამა დაეღუპა.

ზედიზედ წაგებების ტვირთი ჩამოიხსნა „შარლოტ ჰორნეთსმაც“. „კრაზანებს“ ზედიზედ სამჯერ წაეგოთ, გუშინწინ კი პორტლენდში რთული შეხვედრა მოიგეს, რაშიც ყმაწვილ თავდამსხმელ ლი ნეილორს უნდა უმადლოდნენ და ემადლიერებიან კიდეც. „პორტლენდთან“ ჭიდილში ნეილორმა კარიერაში უმეტესი, 26 ქულა შეაგროვა და ამას ასევე კარიერაში სარეკორდო 11 მოხსნა დაამატა.

**ირაკლი ფირუზიშვილი**

# ის არ იყო მედიდი, ის იყო დიდი

## პიტერ ბლეიკი ამაზონზე მოკლეს



პიტერ ბლეიკი

*გუშინ დილით სერ პიტერ ბლეიკის ინტერნეტ-დღიური შემდეგი ტექსტით შეივსო: „პირობები მშვენიერია, იახტა ამაზონზე მიიწევს და მთვარე 9 საათზე უნდა ამოვიდეს. ეს კი ნიშნავს, რომ იქამდე ორნახევარი საათით წყვდიადი გველის, მაგრამ არა უშავს, მთავარია, რომ ცა მოწმენდილია და ღამით მთვარე ამოვა“.*

ამაზონის ჯუნგლებს დედამიწის თანამგზავრი უკვე დაჰყურებდა, როცა ბრაზილიის დროით 22 საათსა და 15 წუთზე იახტა „სიიმასტერს“ მძარცველები შეესივნენ. ეს არ ყოფილან ტიტლიკანა ინდიელები ხის შუბებითა და ველური ყიჟინით, თავდამსხმელებს კარგად მორგებული ნიღბები ეკეთათ და თანამედროვე თოფ-დამბაჩებით იყვნენ შეიარაღებულნი. მათ რამდენჯერმე გაისროლეს, ერთ-ერთი ტყვია წინ მდგომ პიტერ ბლეიკს მოხვდა. იგი ადგილზე გარდაიცვალა. ეკიპაჟის ცხრა წევრიდან ერთი სახეში დაიჭრა, მეორე — ზურგში, სხვებმა კი მხოლოდ ინერვიულეს. ინციდენტის ერთადერთი მსხვერპლი დედამიწის უდიდესი ზღვაოსანთაგანი გამოდგა.

ყაჩაღებს ძარცვა სურდათ, კაცი კი მოკლეს, ბრიტანეთის სამეფოს რაინდი და ზღვაოსნობის საფირმო „ამერიკის თასის“ ორგზის გამარჯვებული. 145 წლის მანძილზე ახალი ზელანდია გახდა მხოლოდ მეორე ქვეყანა, რომელმაც „ამერიკის თასი“ დაისაკუთრა. ბლეიკის სკიპერობით „მაორებმა“ 1995 წელს, მეორედ კი 5 წლის შემდეგ იანკებს უმნიშვნელოვანესი პრიზი წაართვეს და ბლეიკი ახალი ზელანდიის ისეთივე რჩეული გახდა, როგორიც, მაგალითად, ევერესტის პირველი დამპყრობი ედმუნდ ჰილარი. ბლეიკმა ჰილარივით დედოფალ ელისაბედ II-ის ხელიდან მიიღო რაინდობა, ორჯერ გამოაცხადეს ახალი ზელანდიის წლის სპორტსმენად და შარშანდლიდან დამსახურებულ პენსიაზე გასული (53 წლის გახლდათ) ცნობილი ჟაკ კუსტოს „კალიფსო 2“-ის კაპიტნად იყო მიწვეული. მანამდე კი ანხორციელებდა პროგრამა „ბლეიკიქსპედიშენს“, რომლის ერთ ეტაპსაც წარმოადგენდა სწორედ მოგზაურობა ჯერ ამაზონსა და რიო ნეგროზე, მერე — ორინოკოს ჩაყოლებით. ექსპედიცია უფრო მეცნიერული იყო, მისი წევრები ამაზონის აუზის უმწვავეს ეკოლოგიურ პრობლემებს, იმ ადგილებში გლობალური დათბობის შედეგებსა და სხვა დარღვევებს სწავლობდნენ.

სერ პიტერ ბლეიკის კარიერა სხვა მიღწევებსაც ითვლის. ჯერ ისევ „ამერიკის თასს“ მივუბრუნდეთ. 95-ში ბლეიკის ეკიპაჟი, ცხადია, ვერ იქნებოდა ფავორიტი იანკთა უძლიერესი გუნდის წინააღმდეგ (სკიპერი დენის კონორი), რადგან ამერიკელებს თავიანთი თასის დასაკუთრება უკვე ჩვევად ქცეოდათ, მაგრამ კუნძულელებმა სენსაცია მოახდინეს და ფინალი 5:0 მოიგეს. ეკიპაჟი სამშობლოში რომ დაბრუნდა, ოკლენდის და ველინგტონის ქუჩებში ხალხის ტევა არ იყო.

ოთხი წლით ადრე ბლეიკის სკიპერობით იახტა „სტეინლეიგერ 2“-მა „უითბრედი“ მოიგო (ყველაზე პრესტიჟული წრიული რეგატა გახლავთ). აქაც ბლეიკის ეკიპაჟი სასწაულებს ახდენდა. კერძოდ, „სტეინლეიგერმა“ იმარჯვა ექვსივე (!) ეტაპზე და საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე უდიდესი უპირატესობით გავიდა. აფროსნობის ისტორიაში შევიდა ის უცხარესი ბრძოლა, რომელიც ბლეიკის იახტამ და გრანტ დალტონის (ესეც ახალზელანდიელია) „ფიშერ ენდ ჰეიკელმა“ ოკლენდში დასაბოლოებელ ეტაპზე, პორტის შესასვლელთან გამართეს. ბლეიკმა 6 წუთით მიასწრო მოწინააღმდეგეს.

კიდევ: 1994 წელს პიტერ ბლეიკს „ჟიულ ვერნ ტროფი“ გადაეცა დედამიწის ირგვლივ უსწრაფესი ცურვისთვის, როცა კატამარანმა „ენზამ“ ამ საქმეს 74 დღე-ღამე, 22 საათი, 17 წუთი და 22 წამი მოანდომა.

ხალხი შოკშია. პირველი გამოხმაურებები ლონდონიდან გაისმა. სერ კრეი ბლითი, თვითონაც დიდი იახტსმენი და პრესტიჟით მეორე რეგატა „BT ჩელენჯის“ მთავარი ორგანიზატორი, უღრეს მწუხარებას გამოთქვამს: „მან უდიდესი გავლენა მოახდინა ჩვენს სპორტზე და ძლიერ დაგვაკლდება. 1974 წელს, „უითბრედზე“ გავიცანი, როცა „ბარტონ კატერის“ მეთვალყურე ოფიცერი იყო. აი, იმ შორეული დროიდან ბლეიკი მახსოვს წყნარ კაცად, რომელიც საქმეს აკეთებდა. მან, პატარა ახალი ზელანდიის შვილმა, „ამერიკის თასი“ თვით ამერიკელებს მოუგო — ეს უდიდესი მოვლენა იყო“.

სინანული გამოთქვა პოლ ისტმაც, ლონდონში ახალი ზელანდიის ელჩმა (უმაღლეს კომისარს უწოდებენ). ამ სამხრეთული ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ჰელენ კლარკი ნოემბერში სულაც სტუმრობდა ბლეიკის უკანასკნელ ექსპედიციას, რაც მის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს. ბლეიკს აფასებდნენ და უყვარდათ. მეზღვაურმა, რომელსაც ყვეელა 70-იანების სტილში დაყენებული ულვაშებით ცნობდა, თავის ინტერნეტ-დღიურში გუშინ რატომღაც ესეც ჩაწერა: „დღეს ჩემს თავს ერთხელაც ვკითხე — რატომ ვართ ჩვენ აქ?“

ცოტა ხანში გაჩნდა პასუხიც: „რაღაც უნდა შევცვალოთ“.

**დავით გულუა**




პიტერ ბლეიკი და მისი „სიიმასტერი“ რიო დე ჟანეიროში, უკანასკნელი ექსპედიციის წინ

## მეოცე საუკუნის დიდი ზღვაოსანი ოცდამეერთეში შუასაუკუნეობრივად აღესრულა

### გერმანია. ბუნდესლიგა. XVI ტური

**8 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 002 | ბაიერნი-ვოლფსბურგი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.30 | 003 | შტუტგარტი-მიუნხენი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 18.30 | 004 | კოტბუსი-კაიზერსლაუტერნი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 18.30 | 005 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 006 | დორტმუნდი-ჰამბურგი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 18.30 | 007 | სტ. პაული-ვერდერი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 18.30 | 008 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 009 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.30 | 010 | მიონხენგლადბახი-ჰანზა | 1,8 | 3,1 | 4,0 |

**9 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 011 | ფრაიბურგი-კიოლნი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 20.30 | 012 | შალკე-ჰერტა | 2,0 | 3,1 | 3,4 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XVI ტური

**8 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 016 | ფიურტი-მაინცი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 017 | კარლსრუე-ვალდჰოფი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

**9 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 018 | აინტრახტი-ალენი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.00 | 019 | ალემანია-უნტერჰახინგი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.00 | 020 | შვაინფურტი-როიტლინგენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**10 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 021 | ზაარბრიუკენი-ბაბელსბერგი | 1,9 | 3,2 | 3,3 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XX ტური

**8 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 032 | დრეზდენი-დიუსელდორფი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 17.00 | 024 | ესენი-აუე | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 17.00 | 025 | ფერლი-ბრაუნშვაიგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 17.00 | 026 | მაგდებურგი-კილი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 17.00 | 027 | ლიუბეკი-ვერდერი (მ.) | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 17.00 | 028 | ურდინგენი-პადერბორნი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 029 | ურდინგენი-პადერბორნი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 17.00 | 030 | ქემნიცი-ფორტუნა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 031 | ქემნიცი-ფორტუნა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXI ტური

**8 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 035 | ანსბახი-ერფურტი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 17.00 | 036 | ელვერსბერგი-ოფენბახი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 17.00 | 037 | ბურგჰაუზენი-ჰოფენჰაიმი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 17.30 | 038 | ვეჰენი-ბაიერნი (მ.) | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 18.00 | 039 | აალენი-კიკერსი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 18.00 | 040 | მანჰაიმი-ზიგენი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.00 | 041 | ტრიერი-ფულდა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 042 | ტრიერი-ფულდა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

**9 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 043 | შტუტგარტი (მ.)-რეგენსბურგი | 3,0 | 3,1 | 2,2 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XVI ტური

**8 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 047 | ჩარლტონი-ტოტენჰემი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 048 | დერბი-ბოლტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 049 | ფულემი-ევერტონი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 19.00 | 050 | ლესტერი-საუთჰემპტონი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 051 | ლივერპული-მიდლსბრო | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 052 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 053 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**9 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 054 | ბლეკბერნი-ლიდსი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 18.00 | 055 | სანდერლენდი-ჩელსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 056 | იფსვიჩი-ნიუკასლი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 20.00 | 057 | არსენალი-ასტონ ვილა | 1,6 | 3,3 | 5,3 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXIII ტური

**8 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 060 | ბარნსლი-ულვსი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 061 | ბირმინგემი-ნორვიჩი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 19.00 | 062 | ბრედფორდი-როტერჰემი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 063 | კრისტალ პალასი-სიტი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 064 | ნოტინგემი-ჯილინგემი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 065 | პორტსმუთი-ქრიუ | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 066 | უიმბლდონი-მილუოლი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 067 | სტოკპორტი-უიმბლდონი | 3,4 | 3,2 | 1,95 |
| 19.00 | 068 | ვესტ ბრომვიჩი-შეფილდი | 1,7 | 3,1 | 4,7 |

**9 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 069 | პრესტონი-ბარნლი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 18.15 | 070 | ქოვენთრი-უოტფორდი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

### ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები.

**8 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 072 | რექსემი-ბრისტოლი | 2,9 | 3,0 | 2,3 |

### ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩები.

**8 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
